

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის
სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

სამართალმცოდნეობისა და საჯარო მმართველობის ფაკულტეტი

თამაზ დავითაძე

**სახელმწიფოს ფედერალური და უნიტარული მონცობის
შედარებითი ანალიზი**

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ხათუნა მურადიშვილი
საჯარო მმართველობის აკადემიური დოქტორი

ბიჭაური

2019

ანოტაცია

სახელმწიფოს ტერიტორიული მონყობა, იმ უმნიშვნელოვანეს საკითხს განეკუთვნება, რომელსაც იკვლევს მეცნიერება საკონსტიტუციო სამართლის შესახებ. სახელმწიფოს ტერიტორიული მონყობა გულისხმობს ცენტრსა და პერიფერიებს შორის ძალაუფლების სწორ გამიჯვნას. ზოგადი გაგებით ისტორიულად უპირატესობა ყოველთვის, ერთიან ცენტრალიზებულ სახელმწიფოს ენიჭებოდა. ფეოდალური დაქუცმაცებულობის შემდეგ სახელმწიფოებრიობის ისტორიაში პროგრესული ნაბიჯი ცენტრალიზაციისაკენ სწრაფი სვლა იყო. მაგრამ თანამედროვე საზოგადოებაში სახელმწიფოს როლის გაზრდამ, მას უამრავი ამოცანა დააკისრა, რომლის გადაჭრაც მხოლოდ ცენტრალურ ხელისუფლებას არ ხელეწიფებოდა. ამიტომაც თეორიასა და პრაქტიკაში, სულ უფრო დიდი ყურადღება ეთმობა ცენტრალური ხელისუფლების იმ მოვალეობებისგან გათავისუფლებას, რომლის შესრულება, ადგილობრივ ორგანოებსაც შეუძლიათ. ადგილობრივი ორგანოები უფრო, ეფექტურად წყვეტენ, ლოკალური მნიშვნელობის საკითხებს, რადგან ადგილობრივი პრობლემების გადაჭრისას უფრო მეტად, დაინტერესებულ სუბიექტებს, წარმოადგენენ.

საქართველოს სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე არსებულ მრავალ პრობლემათაგან ერთ-ერთი ურთულესია ტერიტორიული მონყობის საკითხი. თანამედროვე ეტაპზე არსებობს შესაძლებლობა დამოუკიდებლად განსაზღვრონ ქვეყნებმა ტერიტორიული მონყობის საკითხები. მთავარი მომენტი არის ის, რომ ტერიტორიული გადანაწილება მოხდეს ქვეყნის ისტორიულ, გეოგრაფიულ და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან შესაბამისობაში. აღნიშნული მიდგომებით ტერიტორიული დაყოფა თანხვედრაში მოვა საქართველოს მრავალსაუკუნოვან გამოცდილებასთან და უპასუხებს თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფოს წინაშე მდგარ ამოცანებს. ტერიტორიული მონყობის მოდელმა მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი სახელმწიფოს მიზნებისა და ფუნქციების გადანყვეტას. ამის მთავარი პირობა არის ის, რომ მან საერთო ეროვნულ და ადგილობრივ ინტერესებს შორის ჰარმონიის მიღწევის შედეგად უნდა გააძლიეროს სახელმწიფო მთლიანობა წაახალისოს ქვეყნის პოლიტიკური ეკონომიკური და კულტურული აღორძინება.

სამაგისტრო ნაშრომი შედგება შესავალის, ხუთი საკვანძო თავის, რვა ქვეთავისა და დასკვნისაგან.

Annotation

Territorial arrangement of state belongs to the most important issues researched by the science of the constitutional law. Territorial arrangement of state implies correct demarcation of power between center and peripheries.

Generally, historically, the unified centralized state always had priority. After feudal separation, rapid movement towards the centralization was a progressive step. But in modern society the increase of the state role, imposed to it multiple task resolving of which could not be managed only by the central state.

Thus, the theory, as well as practice, pay special attention to liberation of the central authority from the duties, which may be performed by the local bodies. The local bodies manage local importance issues more effectively, because they represent the subjects, interested in the local problems.

Territorial arrangement is one of the most difficult issues of creation of Georgian state formation. Currently, there is an opportunity to define territorial arrangement independently. The major moment is that territorial distribution shall be in accordance with historical, geographic and social-economic condition of the country. By the noted approach, territorial division will be tuned with Georgian centuries aged experience and will resolve the existed tasks. Territorial arrangement model shall maximally promote the state goals and implementation of functions. Its main term must empower state unity as a result of achievement of harmony between general national and local interests, promote political economy and cultural revival.

The master thesis contains introduction, five key chapters, Eight subsections and conclusion.

Tamaz Davitadze

შინაარსი

ანოტაცია ქართულად	
ანოტაცია ინგლისურად	
შესავალი -----	1
თავი I სახელმწიფოს ტერიტორიული მონაცემების ზოგადი მიმოხილვა -----	6
1.1. ტერიტორია, როგორც სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი -	7
თავი II უნიტარიზმი -----	9
2.1. უნიტარიზმი, როგორც სახელმწიფო მონაცემების ფორმა -----	10
2.2. დეკონცენტრაციის და დეცენტრალიზაციის პრინციპი უნიტარიზმში -----	14
2.3. ცენტრალიზებული და შედარებით დეცენტრალიზებული უნიტარიზმის კონცეფცია ----	
-----	15
თავი III ფედერალიზმი -----	21
3.1. ფედერალიზმის ისტორიულ საწყისებთან -----	21
3.2. ფედერალიზმი, როგორც სახელმწიფო მონაცემების ფორმა -----	
26	
3.3. ფედერალიზმის დადებითი და უარყოფითი მხარეები -----	29
3.4. ფედერალიზმი დეკონცენტრაციისა და დეცენტრალიზაციის ჭრილში -----	32
თავი IV საქართველოს ტერიტორიული მონაცემების საკითხები -----	36
თავი V სახელმწიფო მონაცემების ფედერაციული და უნიტარული სისტემის შედარებითი	
ანალიზი -----	40
დასკვნა -----	53
ბიბლიოგრაფია -----	
74	

შესავალი

სახელმწიფო განსაკუთრებული წესით მონყობილი გაერთიანებაა, რომელიც მეტად რთული და ურთიერთდამოკიდებული პროცესების შედეგად ჩამოყალიბდა. ის სხვადასხვა დროსა და სივრცეში სხვადასხვა ფორმასა და განვითარების განსხვავებულ ეტაპებს გადიოდა, რომელზეც ზეგავლენას შიდა ფაქტორებთან ერთად გარე ფაქტორებიც ახდენდა. მსოფლიო ისტორიიდან ცნობილია რომ თვითვეული სახელმწიფოს ეკონომიკური თუ კულტურული განვითარება მეზობელი ქვეყნების განვითარების პარალელურად მიმდინარეობდა.

ნებისმიერ სახელმწიფოს გააჩნია მთავარი მახასიათებელი, რომელიც ინდივიდუალურია და ხშირ შემთხვევაში გარე ფაქტორების ზეგავლენასაც მკვეთრად განიცდის. სწორედ ასეთ მახასიათებელს წარმოადგენს **ტერიტორია**.

გერმანელი სოციოლოგი და ფილოსოფოსი მაქს ვებერი აღნიშნავდა, რომ სახელმწიფოს იმ ტიპის ორგანიზაციაა, რომელსაც გარკვეული ტერიტორია გააჩნია და ამ ტერიტორიაზე აქვს ძალის გამოყენების ლეგიტიმური უფლებამოსილება.

სახელმწიფოს ტერიტორიული მონყობა, ერთ-ერთი ის უმნიშვნელოვანესი საკითხია, რომელსაც აქტიურად შეისწავლის და იკვლევს მეცნიერება საკონსტიტუციო სამართლის შესახებ. სახელმწიფოს ტერიტორიული მონყობა გულისხმობს ცენტრსა და პერიფერიებს შორის ძალაუფლების სწორ გამიჯვნას. ისტორიულად უპირატესობა ყოველთვის, ერთიან ცენტრალიზებულ სახელმწიფოს ენიჭებოდა. ფეოდალური დაქუცმაცებულობის, შემდეგ, ცენტრალიზაციისაკენ გადადგმული ნაბიჯები, სახელმწიფოებრიობის ისტორიაში პროგრესული ნაბიჯი იყო. მაგრამ თანამედროვე საზოგადოებაში სახელმწიფოს როლის გაზრდამ, მას უამრავი ამოცანა დააკისრა, რომლის გადაჭრაც ცენტრალურ ხელისუფლებას ერთდროულად არ ხელეწიფებოდა. ამიტომაც თეორიასა და პრაქტიკაში, სულ უფრო დიდი ყურადღება ეთმობა ცენტრალური ხელისუფლების იმ მოვალეობებისგან გათავისუფლებას, რომლის შესრულება, ადგილობრივ ორგანოებსაც შეუძლიათ. ადგილობრივი ორგანოები

უფრო, ეფექტურად წყვეტენ, ლოკალური მნიშვნელობის საკითხებს, რადგან ადგილობრივი პრობლემების გადაჭრისას უფრო მეტად, დაინტერესებულ სუბიექტებს, წარმოადგენენ.

საქართველოს სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე არსებულ მრავალ პრობლემათაგან ერთ-ერთი ურთულესია ტერიტორიული მონაცემების საკითხი. თანამედროვე ეტაპზე არსებობს შესაძლებლობა დამოუკიდებლად განსაზღვრონ ქვეყნებმა ტერიტორიული მონაცემების საკითხები. მთავარი მომენტი არის ის, რომ ტერიტორიული გადანაწილება მოხდეს ქვეყნის ისტორიულ, გეოგრაფიულ და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან შესაბამისობაში. აღნიშნული მიდგომებით ტერიტორიული დაყოფა თანხვედრაში მოვა საქართველოს მრავალსაუკუნოვან გამოცდილებასთან და უპასუხებს თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფოს წინაშე მდგარ ამოცანებს.

ტერიტორიული მონაცემების მოდელმა მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი სახელმწიფოს მიზნებისა და ფუნქციების გადანყვეტას. ამის მთავარი პირობა არის ის, რომ მან საერთო ეროვნულ და ადგილობრივ ინტერესებს შორის ჰარმონიის მიღწევის შედეგად უნდა გააძლიეროს სახელმწიფო მთლიანობა წაახალისოს ქვეყნის პოლიტიკური ეკონომიკური და კულტურული აღორძინება.

დღევანდელი მდგომარეობით ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე ტერიტორიული მონაცემების საკითხი სახელმწიფოში ღიად არის დატოვებული. ტერიტორიული მონაცემების მოდელი მნიშვნელოვანია იმდენად რამდენადაც ის არის განმსაზღვრელი კოეფიციენტი ცენტრალურ ხელისუფლებასა და ტერიტორიულ ერთეულებს შორის ძალაუფლების გადანაწილების საკითხში.

სახელმწიფოსთვის მისი შესატყვისი, საუკეთესო ტერიტორიული მონაცემების მოდელის მიღება ურთულესი ამოცანაა. იგი მოითხოვს ამ სახელმწიფოს ყოველმხრივ, სრულფასოვან შესწავლას და მრავალგანზომილებიანი ფაქტორების გათვალისწინებას. მოითხოვს იურისტების, პოლიტოლოგების, ისტორიკოსების, ფსიქოლოგებისა და სხვათა კომპლექსურ მუშაობას. თუ გადაწყვეტილების მიღებისას

აღნიშნული მიდგომები არ იქნა გათვალისწინებული, შედეგი არ იქნება ეფექტური და უფრო მეტიც, შეიძლება ამგვარი გადაწყვეტილება ქვეყნისთვის დიდი საფრთხის შემცველი აღმოჩნდეს - კონკრეტულად გათიშოს საზოგადოების ერთიანობა და წარმოშვას ურთიერთდაპირისპირება.

ამრიგად სახელმწიფოს ტერიტორიული მოდელის შემუშავება არ არის მხოლოდ იურიდიული მნიშვნელობის პრობლემა, არამედ საერთო ეროვნულიცაა, რომელიც საზოგადოების განვითარებაზე ახდენს გავლენას. ამასთანავე ყოველი ქვეყნის ტერიტორიულ მოწყობას გააჩნია მისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალური ნიშნები, მაგრამ თითოეული მათგანი ასახვას ჰპოვებს ტერიტორიული მოწყობის ორ ძირითად ფორმაში: **უნიტარულ ან ფედერალურ მოდელში**. ამასთანავე აღსანიშნავია ისიც რომ არ არსებობს წმინდა უნიტარული და წმინდა ფედერაციული სახელმწიფოები, ხშირად უნიტარულ სახელმწიფოს რამდენიმე ფედერალური ნიშანი აქვს, და პირიქით ფედერალურს უნიტარული. მიუხედავად ამისა ტერიტორიული მოწყობის ამ ორ ფორმას შორის არსებობს თვისობრივი კონცეპტუალური სხვაობა, მაგრამ, იმის განსაზღვრაში სად უნდა გადიოდეს სადემარაკაციო ხაზი უნიტარიზმსა და ფედერალიზმს შორის, არ არსებობს თანხმობა.

სამაგისტრო ნაშრომი აქტუალურია იმდენად რამდენადაც უნიტარიზმსა და ფედერალიზმს შორის კონცეპტუალური სხვაობის კვლევა, ფედერალურ ერთეულებსა და დეცენტრალიზებულ მხარეებს შორის თვისობრივი სხვაობის დადგენა, უნიტარული და ფედერალური სახელმწიფოს, ცენტრალური ხელისუფლების ბუნებისა და სტრუქტურის განსხვავება, თითოეულ წყობილებაში სუვერენიტეტის წარმოშობის, ორიგინალური ხერხების ძიება, დღევანდელ ეტაპზეც წარმოადგენს ფუნდამენტალურ და აქტუალურ პრობლემას.

მიღებულია აზრი რომ ფედერალიზმის გონი მდგომარეობს მის უნიკალურ შესაძლებლობებში ერთმანეთს შეუთანხმოს და მოარგოს კონკურირებადი და ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო, განსხვავებული პოზიციები, ტოლერანტობა, პატივისცემა,

კომპრომისი, მოლაპარაკებები და ორმხრივი აღიარება, ასეთია ფედერალიზმის მიზანი.

აქედან გამომდინარე **სამაგისტრო თემის მიზანია** ფედერალიზმის იდეის გავრცობა, რომელიც გამოიხატება ერთიანობისა და მრავალფეროვნების, ავტონომიისა და სუვერენიტეტის, საერთო-ეროვნულისა და რეგიონულის ურთიერთშეკავებისა და კონტროლის სისტემაში. დღესდღეობით ყველაზე უფრო გავრცელებული გაგებით ფედერალიზმი განიხილება როგორც მსოფლმხედველობა, რომლის მიხედვითაც ადამიანის ცხოვრების ორგანიზაციის იდეალური ფორმა ყველაზე უკეთ გამოიხატება მრავალფეროვნებისა და ერთიანობის ურთიერთთავსებადობაში.

საქართველო მთელი თავისი არსებობის მანძილზე არასდროს არ ყოფილა ერთსახოვანი მთლიანობა, ქართული სახელმწიფო ყოველთვის იყო ინდივიდუალურობისა და მთლიანობის განსხვავებული გამოხატულება.

აღსანიშნავია რომ როდესაც საუბარია სახელმწიფოში ფედერალური სისტემის შემოღებასა და მის ავკარგიანობაზე, ამ კითხვას არსებითი პასუხი შეიძლება გაეცეს, მხოლოდ ისეთი საკითხების გარკვევის შემდეგ, თუ რას წარმოადგენს ფედერალიზმი, როგორია მისი ხელისუფლების სტრუქტურა, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულება, მისი მიმართება სუვერენიტეტთან და სახელმწიფოს მთლიანობის პრობლემასთან.

სახელმწიფო სამართლის ზოგადი მოხაზულობა შეიქმნა იმ ეპოქაში, როცა ბატონობდა სახელმწიფოს უნიტარული ტიპი. XVIII საუკუნის ბოლოდან იწყება სახელმწიფოს ახალი ტიპის წარმოქმნა. იქმნება ამერიკის შეერთებული შტატები, შვეიცარია კონფედერაციიდან იქცევა კანტონების გაერთიანებულ ფედერაციად, იქმნება გერმანიის ფედერაცია და ავსტრია-უნგრეთის დუალისტური მონარქია.

ფედერალიზმის წარმოქმნამ ეჭვის ქვეშ დააყენა მანამდე არსებული, მტკიცედ დამყარებული შეხედულება, უპირველესად სახელმწიფოში სუვერენიტეტის ცნება. ამ შეხედულებით სუვერენიტეტი არის სახელმწიფოს მუდმივი და აბსოლუტური

ხელისუფლება, რომელიც არ ემორჩილება კანონებსაც და რომელიც არ შეიძლება შეიზღუდოს. სუვერენული ხელისუფლება არავის წინაშე არ არის პასუხისმგებელი.

უნიზარიზმი მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან, და სიტყვასიტყვით აღნიშნავს, მოძრაობას. რომელსაც ერთიანობისკენ მივყავართ. უნიტარული სახელმწიფო იყოფა, ტერიტორიულ ერთეულებად, რომელთა უფლებამოსილებაც ადმინისტრაციული ფუნქციებით შემოიფარგლება. უნიტარული სახელმწიფო არის განუყოფელი და დაუნაწევრებელი. იგი არ ცნობს ტერიტორიული ერთეულის, პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. უნიტარულ სახელმწიფოში, მოქმედებს ერთი საერთო კონსტიტუცია, კანონმდებლობა, სასამართლო ხელისუფლება, ხელისუფლების ერთიანი ცენტრალიზებული სისტემა, ერთიანი მოქალაქეობა და საგადასახადო სისტემა.

უნიტარიზმი არ ნიშნავს, აუცილებლად მკაცრ ცენტრალიზაციას, იგი ორ ძირითად ნიშან-თვისებას აერთიანებს

1. ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული, ერთეულების სამართლებრივი სტატუსის, განსაზღვრა, ცენტრალური ხელისუფლების მიერ, სახელმწიფო ადგენს ტერიტორიული ერთეულების რაოდენობას, მათ გამგებლობას მიკუთნებულ საკითხებს;

2. ცენტრალური ხელისუფლების მიერ, ადგილობრივი ორგანოების, საქმიანობის პირდაპირი ან ირიბი კონტროლი.

სამაგისტრო ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს კვლევა ამ ორ სახელმწიფოს მონაცემებს შორის საქართველოსათვის ყველაზე მეტად მორგებული ფორმატის გამოკვეთა. საამისოდ შესწავლილი იქნება აქამდე არსებული სამეცნიერო დასკვნები და შეხედულებები, ასევე მსგავსი სახელმწიფოების ისტორიული გამოცდილებები და ყოველივე ამის შეფასების შემდგომ გაკეთდება დასკვნები და რეკომენდაციები.

თავი I

სახელმწიფოს ტერიტორიული მონაცობის ზოგადი მიმოხილვა

სახელმწიფო თავისი ფორმით მეტად მრავალფეროვანი და კვლევისათვის საინტერესო მოვლენაა. დედამიწაზე ორასამდე სახელმწიფო და თვითეული მათგანი ხასიათდება ინდივიდუალური ნიშან-თვისებებით, რომელიც გამოიხატება მმართველობის ფორმებში, ისტორიული განვითარების ტენდენციებში და ტერიტორიული განლაგების ფორმებში.

ნებისმიერი სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია ტერიტორია. სამყაროში არ არსებობს სახელმწიფო ტერიტორიის გარეშე, მაგრამ არსებობს სხვადასხვა ტერიტორიული ტიპის სახელმწიფოები - ყველაზე დიდი ტერიტორიის მქონე (რუსეთი, კანადა, ჩინეთი, ამერიკის შეერთებული შტატები), საშუალო (გერმანიის ფედერაცია, დიდი ბრიტანეთი, იაპონია, ფინეთი) და პატარა (მალტა, მონაკო, ვატიკანი). საქართველო პატარა ქვეყნების რიგს განეკუთვნება, 230 ქვეყანას შორის 121-ადგილზეა ტერიტორიული სიდიდის მიხედვით.¹

სახელმწიფოს ტერიტორიის ცნება განისაზღვრება, როგორც მისი გეოგრაფიული მდებარეობით ასევე ისტორიული პროცესების განვითარებით. მეოცე საუკუნე ევრაზიის კონტინენტზე რამოდენიმე სახელმწიფოს წარმოშობის ისტორიული ხანაა. მაგალითად

¹ დანართი N1 - მსოფლიოს ქვეყნები ფართობის მიხედვით. წყარო: <https://ka.wikipedia.org>

1991 წელს საბჭოთა კავშირის ნაცვლად 15 დამოუკიდებელი ტერიტორიისა და ხელისუფლების მქონე სახელმწიფო გაჩნდა. დაიშალა იუგოსლავიის ტერიტორიული მთლიანობა და სხვადასხვა ისტორიულ დროში მის მაგივრად წარმოიქმნა სერბეთი, სლოვენია, ხორვატია, ბოსნია-ჰერცეგოვინა და მაკედონია. აქედან გამომდინარე თამამად შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს ტერიტორია არ წარმოადგენს მუდმივ და შეუცვლელ ფენომენს. სახელმწიფოებს შორის წარმოქმნილმა ეთნიკურმა თუ პოლიტიკურმა კონფლიქტებმა სავსებით შესაძლოა გამოიწვიოს სახელმწიფოს ტერიტორიული ცვალებადობა, რაც უდიდეს ზეგავლენას ახდენს მმართველობის განხორციელებაზე.

1.1. ტერიტორია, როგორც სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი

ტერიტორია ლათინური წარმოშობის სიტყვაა - *territorium* და გარკვეულ საზღვრებში მოქცეულ სივრცეს ნიშნავს. ენციკლოპედიური განმარტებით ტერიტორია აღნიშნავს ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელიც ერთი რომელიმე სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ იმყოფება. უმეტესწილად ქვეყნის შიგნით არსებობს ცალკე ტერიტორია, რომელიც ადმინისტრაციული ერთეულის სახით წარმოდგება, მაგრამ კონკრეტული ქვეყნის ხელისუფლების კონტროლის ქვეშ იმყოფება. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიაზე შესაძლოა ცალკე საკანონმდებლო სივრცე მოქმედებდეს, თუმცა ეს არ ნიშნავს ერთიანი სახელმწიფოსაგან უფლებრივად გამიჯნულ ძალაუფლებას. ამ ტიპის ადმინისტრაციულ ერთეულებს „შტატი“, „რეგიონი“ ან „პროვინცია“ შეიძლება ერქვას.

არსებობს ადმინისტრაციული ტერიტორიები, რომლებიც არასუვერენულ გეოგრაფიულ ტერიტორიას წარმოადგენენ და სხვა სახელმწიფოს კონტროლ ქვეშ იმყოფებიან. მათ არა აქვთ მინიჭებული თვითმმართველობის უფლებამოსილება.

პოლიტიკურ ლექსიკოგრაფიაში არსებობს ქვეყნის დანაყოფები რომლებიც რამოდენიმე სახის ტერიტორიებად მოიაზრება:

- ✓ დედაქალაქის ტერიტორია;
- ✓ დამოკიდებული ტერიტორია;
- ✓ ფედერალური ტერიტორია;
- ✓ ზღვისიქითა ტერიტორია;
- ✓ არაორგანიზებული ტერიტორია;
- ✓ სადავო ტერიტორია;
- ✓ ოკუპირებული ტერიტორია;

დედაქალაქის ტერიტორია - სხვაგვარად შესაძლოა განიხილებოდეს, როგორც დედაქალაქის ფედერალურ ტერიტორიად, რაც ნიშნავს სპეციალურად გამოყოფილი ტერიტორიას, სადაც ქვეყნის სამთავრობო რეზიდენციები მდებარეობს. მაგალითად სახელმწიფო წყობის ფედერალური მოდელის დროს როცა სახელმწიფო შტატებადაა დაყოფილი არც ერთ შტატს ან ტერიტორიულ ერთეულს არ უკავია უპირატესი ადგილი, რადგან დედაქალაქი მდებარეობს მის ტერიტორიაზე. ზოგადად დედაქალაქის ტერიტორია შესაძლოა წარმოადგენდეს ფედერალური ოლქის ერთ-ერთ კონკრეტულ ფორმას. მაგალითად ავსტრალიის დედაქალაქი კანბერა ავსტრალიის ფედერალური ტერიტორიის, კერძოდ ახალი სამხრეთ უელსის შტატის, ადმინისტრაციული ცენტრია.

დამოკიდებული ტერიტორია - აღნიშნული განეკუთვნება ადმინისტრაციულ ტერიტორიას, რომელიც არ წარმოადგენს სუვერენული სახელმწიფოს, არ არის დამოუკიდებელი ტერიტორია, მაგრამ პოლიტიკურად მაინც განიხილება სახელმწიფოებრივ წარმონაქმნად.² თანამედროვე მსოფლიოში ნებისმიერი ტიპის დამოკიდებული ტერიტორია განიხილება ასოცირებულ სახელმწიფოდ. დღეისათვის მხოლოდ 4 ქვეყანა ფლობს დამოკიდებულ ტერიტორიებს: დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, ახალი ზელანდია და ნორვეგია.

ფედერალური ტერიტორია - ეს განსხვავებული ტიპის ადმინისტრაციული ტერიტორიაა, კერძოდ ის ფედერაციული სახელმწიფოს არც ერთ შემადგენელ

² Nations General Assembly Resolution 1514

სუბიექტში არ შედის და პირდაპირ ექვემდებარება ფედერაციის ცენტრალურ ხელისუფლებას. ფედერალური ტერიტორიები მოიცავს:

- ✓ დედაქალაქის ფედერალურ ტერიტორიებს (ნიგერია);
- ✓ ფედერალურ ტერიტორიებს (მალაზია);

ზღვისიქითა ტერიტორიები - ამ ტერიტორიებს განეკუთვნება ძირითადი ტერიტორიებიდან შორს მყოფი ადმინისტრაციული ერთეულები, რომელიც მის მიერ იმართება ოკეანის გაღმვიდან. ზღვისიქითა ტერიტორია ფიზიკურად შეიძლება იყოს ქვეყნის, როგორც შემადგენელი ნაწილი, ასევე დამოკიდებული ტერიტორია.

არაორგანიზებული ტერიტორია - ეს გახლავთ ადგილობრივი თვითმმართველობის გარეშე არსებული ტერიტორიები, რომლებიც ჩვეულებრივად იმართებიან ცენტრალური, ზემდგომი ორგანოების მიერ. ზოგადი მოცემულობიდან გამომდინარე ასეთი ტერიტორიები მცირერიცხოვანი მოსახლეობით გამოირჩევა.

სადავო ტერიტორია - გეოგრაფიული რეგიონი, რომელზედაც ორი ან მეტი სახელმწიფო აცხადებს პრეტენზიას. თანამედროვე მსოფლიოში რამოდენიმე ტერიტორია არის სადავო, მაგალითად ქაშმირის ტერიტორია - პრეტენზიას აცხადებს ინდოეთი და პაკისტანი.

ოკუპირებული ტერიტორია - ოკუპირებული ტერიტორია იმყოფება სხვა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების კონტროლ ქვეშ და ფაქტიურად ანექსირებულია. აღსანიშნავია, რომ კონტროლის განხორციელება მიმდინარეობს გარე ძალების მიერ, ზოგჯერ კი მის მიმართ ლოიალური მხარის მიერ. მაგალითად ამჟამად ოკუპირებულია ლაზის სექტორი, მდინარე იორდანეს დასავლეთი ნაპირი და აღმოსავლეთ იერუსალიმი. ისრაელი ახორციელებს აღნიშნული ტერიტორიების კონტროლს, მაგრამ, როგორც ცნობილია არაბულ მხარეს გადაცემული აქვს მათზე თვითმმართველობის ზოგიერთი ფუნქციები. მეორე მაგალითია რუსეთის ფედერაცია, რომელსაც ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიები - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და ცხინვალის რეგიონი, მაგრამ აღნიშნულ ტერიტორიებზე დე-იურე ხელისუფლებას ახორციელებენ ადგილობრივი სეპარატისტები.

სახელმწიფოს ტერიტორიული მონაცემი, ერთ-ერთი ის უმნიშვნელოვანესი საკითხია, რომელსაც აქტიურად შეისწავლის და იკვლევს სამართლის სხვადასხვა მეცნიერება და განსაკუთრებული მნიშვნელობით საკონსტიტუციო სამართლის თეორია. ტერიტორიული მონაცემი სახელმწიფოში, ცენტრსა და მის ტერიტორიულ ერთეულებს, შორის ძალაუფლების გამიჯვნის, საკითხის განსაზღვრას გულისხმობს. ისტორიულად უპირატესობა ყოველთვის, ერთიან ცენტრალიზებულ სახელმწიფოს ენიჭებოდა. ფეოდალური დაქუცმაცებულობის, შემდეგ, ცენტრალიზაციისაკენ, გადადგმული ნაბიჯები, სახელმწიფოებრიობის ისტორიაში პროგრესული ნაბიჯი იყო. მაგრამ თანამედროვე საზოგადოებაში. სახელმწიფოს როლის გაზრდამ, მას უამრავი ამოცანა დააკისრა. რომლის გადაჭრაც ცენტრალურ ხელისუფლებას ერთდროულად არ ხელეწიფებოდა. ამიტომაც თეორიასა და პრაქტიკაში, სულ უფრო დიდი ყურადღება, ეთმობა ცენტრალური ხელისუფლების, იმ მოვალეობებისგან გათავისუფლებას, რომლის შესრულება, ადგილობრივ ორგანოებსაც შეუძლიათ, ადგილობრივი ორგანოები უფრო, ეფექტურად წყვეტენ, ლოკალურ მნიშვნელობის საკითხებს, რადგან ადგილობრივი პრობლემების გადაჭრისას უფრო მეტად, დაინტერესებულ სუბიექტებს, წარმოადგენენ.

„სახელმწიფოს ტერიტორიული მონაცემის“ ცნების ქვეშ იგულისხმება სახელმწიფო ხელისუფლების ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა და მისი ორგანიზება. დაყოფაში მოიაზრება სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილები ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები და მათ შორის ურთიერთობა. ჩვეულებრივ, სახელმწიფოს ტერიტორია დაყოფილია ნაწილებად, რომელთა ერთობლიობა ქმნის სახელმწიფოს ტერიტორიულ გეოგრაფიას. სახელმწიფოს ტერიტორიულ ერთეულებში მოქმედებს ერთიან სახელმწიფო ხელისუფლება და ასევე შესაბამისი ტერიტორიული ხელისუფლება - ადგილობრივი თვითმმართველობა. აქედან გამომდინარე, ქვეყნის ტერიტორიულ ერთეულებს შეიძლება ჰქონდეთ ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოები, საკუთარი კონსტიტუცია, კანონმდებლობა და ა.შ. ასეთ თვითეულ ტერიტორიულ ერთეულს გააჩნია თვითმმართველობის მაღალი დონე და

სახელმწიფოს მსგავს წარმონაქმნს წარმოადგენს. არსებობს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, რომელსაც არ გააჩნია სახელმწიფოებრიობის რაიმე მსგავსი ნიშანი, შესაბამისად ყველა ერთეულს გააჩნია თანაბარი სტატუსი და მათი თვითმმართველი ორგანოები წარმოადგენენ მთელი სახელმწიფო აპარატის ერთ-ერთ სტრუქტურულ ნაწილს.

აღნიშნულის შესაბამისად, თანამედროვე კონსტიტუციური სამართლის თეორიაში გამოყოფენ ტერიტორიულ სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ორ ძირითად ფორმას: უნიტარულსა და ფედერაციულს. ამ ორ ფორმას შორის ძირითადი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ უნიტარული სახელმწიფო არის დაყოფილი, მაგრამ ეს არის მხოლოდ ადმინისტრაციულ ან პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფა, ხოლო ფედერაციული სახელმწიფოს ერთეულები წარმოადგენენ სახელმწიფოს მსგავს წარმონაქმნებს სუვერენიტეტის გარეშე.

თავი II

უნიტარიზმი

სახელმწიფოს მართვა რამოდენიმე ფაქტორზეა დაფუძნებული. აღნიშნული ფაქტორების ურთიერთშეთანხმებული მუშაობის ხარრისხზეა დამოკიდებული სახელმწიფოს განვითარების დონე და სამომავლო პერსპექტივები საერთაშორისო არენაზე. სახელმწიფოს მართვა ძირითადად გულისხმობს იმ მეთოდების ერთობლიობას, რომლებიც შესაძლებელს ხდის სახელმწიფოს რთულმა და დიფერენცირებულმა სისტემებმა მაქსიმალურად ურთიერთშეთანხმებულად იფუნქციონირონ. მმართველობის ფორმები დიფერენცირდება სახელმწიფოს ფორმების მიხედვით.

შინაარსობრივად თუ მიუდგებით საკითხს მმართველობის ფორმა, ესაა სახელმწიფოს იმ ძირითადი შინაგანი ნიშნების ერთობლიობა, რომლებიც აჩვენებს:

- ✓ თუ როგორაა სახელმწიფოში მონაცობილი ხელისუფლება;
- ✓ ვის ეკუთვნის ხელისუფლება;

ასევე მნიშვნელოვანია რა მეთოდების გამოყენებით ხორციელდება კონკრეტულ სახელმწიფოში კონკრეტული ხელისუფლება.

სახელმწიფო ფორმის მრავალაგვარი განმარტება არსებობს, რომელიც შეიძლება ზოგადად სამი ურთიერთდაკავშირებული მოვლენის სინთეზით ჩამოვაყალიბოთ:

1. სახელმწიფო მმართველობის ფორმა;
2. ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ფორმა;
3. სახელმწიფოს პოლიტიკური რეჟიმი;

სახელმწიფო მონაცობის ტერიტორიულ-სამართლებრივი ორგანიზაციის ფორმებს მიეკუთვნება სამაგისტრო ნაშრომის თემატიკა. კერძოდ უნიტარიზმი და ფედერალიზმი. უნიტარულია თუ ფედერაციული სახელმწიფოს მმართველობის ფორმები მკვეთრად განსაზღვრავს სახელმწიფოს შიგნით არსებული სისტემური მონაცობის საკითხებს. პირველ რიგში განვიხილოთ უნიტარიზმი და მისი მხარეები და შემდგომ გავაშუქებთ ფედერალიზმს. საბოლოოდ კი გაკეთდება შედარებითი ანალიზი.

2.1. უნიტარიზმი, როგორც სახელმწიფო მონაცობის ფორმა

უნიტარიზმი მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან „unitas” და სიტყვასიტყვით აღნიშნავს ერთობას. ანუ ეს არის მოძრაობის დინამიკა რომელსაც ერთიანობისკენ მივყავართ. უნიტარული სახელმწიფოს ტერიტორია დაყოფილია ტერიტორიულ ერთეულებად რომელთა უფლებამოსილებაც ადმინისტრაციული ფუნქციებით შემოიფარგლება.

უნიტარული მმართველობის დროს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს არ გააჩნიათ რაიმე განსაკუთრებული პოლიტიკური დამოუკიდებლობა, თითოეული ადმინისტრაციული ერთეული, როგორც წესი, ერთნაირი სამართლებრივი სტატუსით სარგებლობს და გააჩნია ცენტრალური ორგანოებისადმი თანასწორი დამოუკიდებულება, რაც, ბუნებრივია, არ გამორიცხავს მათი ფართო ხასიათის უფლებამოსილების, სამეურნეო, სოციალურ, კულტურულ და სხვა სფეროებში არსებობის აუცილებლობას.

უნიტარულ სახელმწიფოში მოქალაქეთა სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება სახელმწიფოს ერთიანი მოქალაქეობით. ასეთ სახელმწიფოში, როგორც უკვე მივუთითეთ, მოქმედებს როგორც სამართლის, ისე სასამართლო ხელისუფლების ერთიანი სისტემა. შესაბამისად, ქვეყნის კანონმდებლობის საერთო ბაზას წარმოადგენს ქვეყნის ძირითადი კანონი - კონსტიტუცია, ხოლო მართლმსაჯულების განხორციელება მთელი ქვეყნის მასშტაბით საერთო მატერიალური და პროცესუალური სამართლის ნორმების გამოყენებით ხდება.

უნიტარული სახელმწიფო შედგება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისგან, რომელიც შეიძლება იწოდებოდეს პროვინციებად, შტატებად, გუბერნიებად, რაიონებად, პრეფექტურებად და სხვა.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით, უნიტარული სახელმწიფოები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ერთეულების დონეების მიხედვით. ადმინისტრაციული ერთეულების საფეხურების რაოდენობა დამოუკიდებელია ქვეყნის ტერიტორიის სიდიდესა და მოსახლეობის რაოდენობაზე, მაგრამ ეს მომენტი არ არის განმსაზღვრელი ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის და შეიძლება შედარებით დიდი ტერიტორიისა და მეტი რაოდენობის მოსახლეობის მქონე ქვეყანას უფრო ნაკლები რაოდენობა, უფრო ნაკლებ საფეხუროვანი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დონეები გააჩნდეს. მაგალითად, დიდ ბრიტანეთს გააჩნია ტერიტორიული დაყოფის მხოლოდ სამი დონე, ხოლო საფრანგეთს - ოთხი. მსოფლიოს კონსტიტუციური პრაქტიკა იცნობს ისეთ შემთხვევებსაც, როცა ქვეყანას საერთოდ არ გააჩნია

ადმინისტრაციულ - ტერიტორიული დაყოფა. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ მალტა.

ამრიგად, უნიტარული სახელმწიფო არის განუყოფელი და დაუნაწავრებელი. იგი არ ცნობს ტერიტორიული ერთეულის პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. უნიტარულ სახელმწიფოში მოქმედებს ერთი საერთო კონსტიტუცია, საერთო კანონმდებლობა, ერთიანი სასამართლო ხელისუფლება, ხელისუფლების ერთიანი ცენტრალიზებული სისტემა, ერთიანი მოქალაქეობა და საგადასახადო სისტემა. მაგრამ ეს არ გამოირიცხავს, ტერიტორიული ერთეულის ფართო სამეურნეო, სოციალურ და კულტურულ, უფლებამოსილებებს. ამიტომ უნიტარიზმი არ ნიშნავს, აუცილებლად მკაცრ ცენტრალიზაციას. აქედან გამომდინარე უნიტარიზმი ორ ძირითად ნიშან-თვისებას ითავსებს თავის თავში

1. ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა ხდება ცენტრალური ხელისუფლების მიერ. კერძოდ, სახელმწიფო ადგენს ტერიტორიული ერთეულების როგორც საჭირო რაოდენობას, ასევე ადგენს იმ საკითხთა ნუსხას, რომელიც მათ გამგებლობას შეიძლება ჰქონდეს მიკუთვნებული.
2. ამ დროს ხდება ცენტრალური ხელისუფლების მიერ ადგილობრივი ორგანოების საქმიანობის პირდაპირი ან ირიბი კონტროლი.

2.2. დეკონცენტრაციისა და დეცენტრალიზაციის პრინციპი უნიტარიზმში

უნიტარიზმის დროს ცენტრალური ხელისუფლების მიერ ტერიტორიული ერთეულებისათვის კომპეტენციის გადაცემა ხდება დეკონცენტრაციის³ ან/და დეცენტრალიზაციის⁴ განხორციელებით.

³ დეკონცენტრაცია - მდგომარეობა, როცა ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებს, კერძოდ მთავრობის უწყებებს გააჩნიათ ტერიტორიული ერთეულები, რომელთა მეშვეობითაც განაგებენ ადგილობრივი მმართველობის საკითხებს.

⁴ დეცენტრალიზაცია - საჯარო ხელისუფლების გადანაწილება, კერძოდ გადაცემა ცენტრიდან რეგიონებზე

დეკონცენტრაცია ცენტრალური ხელისუფლების მიერ გარკვეული უფლებამოსილების მისდამი სტრუქტურულად დაქვემდებარებული ადგილობრივი ორგანოებისთვის გადაცემას გულისხმობს. ამ შემთხვევაში ადგილობრივი ორგანოების საქმიანობა ცენტრის პირდაპირი კონტროლისა და ზედამხედველობის ქვეშ ხორციელდება. ცენტრალურ ხელისუფლებას ნებისმიერ დროს შეუძლია თავის სურვილისამებრ დელეგირებული უფლებამოსილების უკან დაბრუნება, რომლის მოტივი შეიძლება გახდეს კანონიერების დარღვევა, ან მმართველობითი მიზანშეუწონლობა.

დეკონცენტრაციის ძირითად მიზანს ცენტრალური ორგანოების განტვირთვა წარმოადგენს. დეკონცენტრაციის მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ძალაუფლების გადანაწილება ხორციელდება ისე, რომ არ ირღვევა ერთიანობის, როგორც ცენტრალური სისტემური მმართველობის არსი. თვით სიტყვიდან გამომდინარე დეკონცენტრაცია, ანუ კონცენტრირების (ერთად თავმოყრის) საპირისპირო პროცესია, მაგრამ ამ დროს რეალურად უნდა მოხდეს ცენტრალური ძალაუფლების კონცენტრაცია პერიფერიებში.

დეცენტრალიზაციის დროს მმართველობითი უფლებამოსილება გადაეცემა ადგილობრივ ორგანოს, რომელიც გარკვეული ავტონომიის მქონე, სტრუქტურულად და ორგანიზაციულად დამოუკიდებელი, საჯარო სამართლის იურიდიული პირია. დეცენტრალიზაციის ერთ-ერთი გამოხატულებაა ადგილობრივი თვითმმართველობა, რომელიც შეიძლება არსებობდეს რეგიონალურ დონეზე. თვითმმართველი ერთეული დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით ახორციელებს მის კომპეტენციას, მიკუთვნებულ საკითხებს.

უნიტარულ სახელმწიფოში ხელისუფლების გადანაწილება ისე უნდა განხორციელდეს, რომ არ მოხდეს სახელმწიფოებრიობის მთავარი არსის - ერთიანი სუვერენიტეტის პრინციპის დარღვევა. ეს იმას ნიშნავს რომ ცენტრალურმა ხელისუფლებამ არ განახორციელოს ძალაუფლება იმ დოზით, დეკონცენტრირება პერიფერიებში და ტერიტორიული ერთეულების ზედმეტად დეცენტრალიზება, რომ

შედეგად არ გაჩნდეს სახელმწიფოში პატარა სახელმწიფოს მსგავსი წარმონაქმნი, რომელიც შესაძლოა საბოლოო ჯამში თავს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადებს.

ამრიგად უნიტარიზმის დროს მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელდეს ადგილობრივი ხელისუფლების კონტროლი და მონიტორინგი, რათა ამ უკანასკნელის მიერ არ მოხდეს უფლებამოსილებების გადამეტება, ან ბოროტად გამოყენება.

2.3. ცენტრალიზებული და შედარებით დეცენტრალიზებული უნიტარიზმი

დეცენტრალიზაციის ხარისხის მიხედვით განასხვავებენ ცენტრალიზებულ და შედარებით დეცენტრალიზებულ უნიტარულ სახელმწიფოებს.

ცენტრალიზებულ უნიტარულ სახელმწიფოებში ტერიტორიულ ერთეულებს, როგორც ცენტრალურ, ისე რეგიონურ დონეზე, მართავს ცენტრის მიერ, დანიშნული მმართველი, ან მმართველობითი ორგანო. ძალაუფლება ადგილზე ხორციელდება მკაცრად ცენტრალიზებული ფორმით. ამ დროს ძლიერია ცენტრალური ხელისუფლების პოზიციები და ადგილობრივი ხელისუფლება ერთის მხრივ დამოუკიდებელია, მაგრამ ამავე დროს, პარალელურად დაქვემდებარებულია ცენტრალურ ხელისუფლებაზე. აღნიშნული მოდელი შეიძლება განხილულ იქნეს არადემოკრატიული მმართველობის მოდელად. მსგავსი სახის სახელმწიფოები იშვიათია, თუმცა შესაძლოა არსებობდეს და ამდენად პოლიტიკურ მეცნიერებაში მისი არსებობა განიხილება.

შედარებითი დეცენტრალიზაციის დროს, ადგილზე ცენტრის მიერ დანიშნულ მოხელეებთან ერთად არსებობს არჩევითი ორგანოებიც, რომლის საუკეთესო მაგალითი საფრანგეთის რესპუბლიკაა.

საფრანგეთში ცენტრალური ხელისუფლების მიერ დანიშნულ პრეფექტთან ერთად არსებობს უშუალოდ მოსახლეობის მიერ არჩეული მუნიციპალური ორგანოები -

დეპარტამენტის საბჭოები. ეს ფაქტი შეიძლება განხილულ იქნას, როგორც დეკონცენტრაციისა და დეცენტრალიზაციის ერთდროულად თანაარსებობა. თუმცა აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი არჩევითი ორგანოების კომპეტენცია საგრძნობლად შეზღუდულია, ხოლო სამთავრობო ემისრები არა მხოლოდ ფართო ადმინისტრაციული უფლებამოსილებით არიან აღჭურვილი, არამედ მუნიციპალური საბჭოს საქმეებში ჩარევის უფლებაც აქვთ. ამასთან შედარებით დეცენტრალიზაციის დროს არ არსებობს ადგილობრივი კანონმდებლობა, ისინი ემორჩილებიან ცენტრალურ ხელისუფლებას და ადგილობრივი ორგანოების საქმიანობა ძირითადად ადმინისტრაციული ხასიათისაა.

დეცენტრალიზაციის მაღალი ხარისხის პირობებში ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებს შორის კომპეტენცია ნორმატიულად გამიჯნულია. დეცენტრალიზებული უნიტარული სახელმწიფოს მაგალითია გაერთიანებული სამეფო. ბრიტანულ დეცენტრალიზაციას ლიტერატურაში **დევოლუცია**⁵ უწოდებენ. აქ ადგილობრივი ხელისუფლება არჩევითი ორგანოებით, საგრაფოებით არის წარმოდგენილი, გარდა ამისა 1998 წელს გაერთიანებულმა სამეფომ რეფერენდუმის საფუძველზე შოტლანდიასა და უელსს ავტონომიური უფლებამოსილებები გადასცა. აქედან გამომდინარე შოტლანდიის პარლამენტი არის ერთპალატიანი და აირჩევა 4 წლით. მას მიენიჭა კანონშემოქმედებისა და შეზღუდულად, ნაწილობრივ გადასახადების შემოღების უფლება. მის კომპეტენციას განეკუთვნება შემდეგი სფეროების მონესრიგება: საფინანსო და ეკონომიკური სფერო, საშინაო საქმეები, ვაჭრობა, ტრანსპორტი, სოციალური დაცვა, შრომა, ჯანმრთელობა და ფარმაცია, მედია და კულტურა. შოტლანდიის პარლამენტს არა აქვს „შოტლანდიის აქტის“ შეცვლის უფლება. მისი შეცვლა მხოლოდ გაერთიანებული სამეფოს ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივაა.

⁵ **დევოლუცია** - ნიშნავს ცენტრალური მთავრობიდან დაქვემდებარებული რეგიონული მთავრობისათვის ძალაუფლების გადაცემას. მთავარია ის საზიარო არ უნდა გახდეს და არ გულისხმობს სუვერენულობის წარმოშობას, ფედერალიზმისაგან განსხვავებით.

აღსანიშნავია რომ დევოლუცია თანდათანობით ფართოვდება. 2012 წელს „შოტლანდიის აქტში“ ცვლილებების შეტანის შედეგად, შოტლანდიას ფისკალური უფლებამოსილებები, მნიშვნელოვნად გაეზარდა.

შოტლანდიისგან განსხვავებით, უელსისათვის უფლებამოსილებების გადაცემა, უფრო მოკრძალებულ ხასიათს ატარებდა. 1998 წლის „უელსის აქტით“ დაფუძნებულია არა პარლამენტი, არამედ უელსის ასამბლეა. ავტონომია მხოლოდ ადმინისტრაციული ხასიათით შემოიფარგლებოდა, რადგან ასამბლეას მარტოდენ კანონქვემდებარე აქტების გამოცემის უფლება გადაეცათ. თუმცა დევოლუცია გაფართოვდა უელსშიც, კერძოდ, 2006 წელს გაერთიანებული სამეფოს მიერ უელსის განახლებული აქტით, ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპის შესაბამისად, დაარსდა უელსის მთავრობა. 2011 წელს ჩატარებული რეფერენდუმის შედეგად კი, უელსისათვის გადაცემული კომპეტენციის ფარგლებში ასამბლეას კანონშემოქმედებითი უფლებამოსილებებიც მიენიჭა.

ჩრდილოეთ ირლანდიის ტერიტორია საგანგებო კანონმდებლობით იმართება და მისი სტატუსი შოტლანდიისა და უელსის ავტონომიური სტატუსისაგან განსხვავდება. 1922– 72 წლებში ჩრდილოეთ ირლანდიაში **სტორმონტის⁶ სისტემის** სახელით, ცნობილი ადგილობრივი მმართველობის სტრუქტურა მოქმედებდა, რომელიც ორპალატიანი პარლამენტისა და მთავრობის ფუნქციონირებას გულისხმობდა. 1972 წელს ჩრდილოეთ ირლანდიაში გაუქმდა ადგილობრივი მმართველობა და ცენტრის პირდაპირი მმართველობა დამყარდა. ამის შემდეგ ჩრდილოეთ ირლანდიაში ცენტრალურმა ხელისუფლებამ არაერთხელ აღადგინა და გააუქმა დევოლუცია. 2007 წელს ჩრდილოეთ ირლანდიას მეხუთედ მიენიჭა ადგილობრივი მართვის უფლებამოსილებანი.

დიდი ბრიტანეთის დევოლუცია არის ლოკალური ორგანოებისათვის უფლებამოსილებათა ისეთი გადაცემა, როდესაც ცენტრალურ ხელისუფლებას მისი შეცვლა ნებისმიერ დროს შეუძლია. ფედერაციულ სახელმწიფოში ფედერაციის

⁶ **სტორმონტი** - ჩრდილოეთ ირლანდიის პარლამენტი

სუბიექტის უფლებამოსილებები განმტკიცებულია კონსტიტუციით. რომლის ცალმხრივად შეცვლის უფლება ფედერალურ ხელისუფლებას არა აქვს. დევიოლუციის შემთხვევაში კი, ცენტრალური ხელისუფლება უფლებამოსილია სხვა საკანონმდებლო აქტის მსგავსად, ნებისმიერ დროს გააუქმოს შოტლანდიის, უელსისა და ჩრდილოეთ ირლანდიისათვის უფლებამოსილების მიმნიჭებელი საკანონმდებლო აქტები. ცენტრალური ხელისუფლება ახდენს. როგორც „დე“ ისე „რე“ ცენტრალიზაციას, ამის თვალსაჩინო მაგალითია ჩრდილოეთ ირლანდია.

✓ ავტონომია

უნიტარიზმი ავტონომიის არსებობას არ გამორიცხავს. ავტონომიის ცნების მრავალი მნიშვნელობით გამოყენების მიუხედავად იგი ძირითადად ცენტრალური მთავრობის გავლენისაგან ტერიტორიული ერთეულის ნაწილობრივ დამოუკიდებლობასა და თავის გამგებლობას მიკუთვნებული საკითხების საკუთარი პასუხისმგებლობით განხორციელებას გულისხმობს. ავტონომიის შედეგად სახელმწიფოს გარკვეული ნაწილი, მის სხვა ტერიტორიულ ერთეულებთან შედარებით, გაცილებით ფართო უფლებამოსილებებითაა აღჭურვილი.

ავტონომია გულისხმობს ჯგუფის, როგორც უმცირესობის, აღიარებასა და მისი კოლექტიური უფლებების დაცვას. ამ დროს მხედველობაში მიიღება ისტორიული და ეკონომიკური ხასიათის თავისებურებანი. ასევე კომპაქტურად დასახლებული დაჯგუფებები. ავტონომიის საშუალებით განსხვავებული ჯგუფები, საკუთარი კულტურის, ენის, რელიგიის შესაბამისად განსაზღვრავენ, საკუთარ წესებს, რითაც ახდენენ თვითგამორკვევისა და თვითიდენტიფიკაციის უფლების რეალიზაციას.

ავტონომიის მრავალ სახეს გამოყოფენ. მათგან აღსანიშნავია: **ექსტერიტორიული** (პერსონალური) და **ტერიტორიული** ავტონომია.

ექსტერიტორიული ავტონომიის შემთხვევაში, ავტონომიური უფლებებით აღიჭურვება უმცირესობა და არა ის ტერიტორია, სადაც იგი სახლობს. ამგვარი ავტონომია მოიცავს, ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის ყველა წევრს მათი საცხოვრებელი

ადგილის მიუხედავად. ექსტერიტორიული ავტონომია ნაკლებად გვხვდება, როგორც სახელმწიფოს ტერიტორიული მონაცემის ფორმა, რადგან ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფო მის ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა ეროვნულ ჯგუფებს, ტერიტორიული წარმონაქმნის გარეშე აძლევს საშუალებას ისარგებლონ სოციალურ-კულტურული უფლებებით.

პერსონალური ავტონომიის დროს, ამ უფლებით აღჭურვილი ხალხის, უფლებების დასაცავად შექმნილია საჯარო სამართლის ორგანიზაცია რომელიც უმრავლესობას წარმოადგენს და უზრუნველყოფს მათი ინტერესების განხორციელებას, კულტურის, ენის, აღზრდა-განათლების სფეროში.

ტერიტორიული ავტონომიის შემთხვევაში, ესა თუ ის ტერიტორია ფლობს, განსაკუთრებულ სტატუსს. ავტონომიური უფლებებით, სარგებლობს შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა პირი და არა მხოლოდ ეთნიკური ჯგუფის წევრი. უნიტარული სახელმწიფოს ტერიტორიულ ავტონომიებს, წარმოადგენს, ალანდის კუნძულები ფინეთში, გრელანდია და ფარერის კუნძულები დანიაში, მადეირასა და აზორის არქიპელაგი პორტუგალიაში, კორსიკა – საფრანგეთში, ზოგიერთ ავტონომიას თვითგამორკვევის უფლების უზრუნველსაყოფად და ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან სახელმწიფოს ერთიანობის შესანარჩუნებლად აქვს იმდენად ფართო კომპეტენცია, რომ ხანდახან მისი უფლებამოსილებები ფედერაციის სუბიექტის უფლებამოსილებებსაც კი აღემატება. ამის მაგალითია ალანდის კუნძულები ფინეთში, გრელანდიისა და ფარერის კუნძულები დანიაში. თუმცა ამ შემთხვევაშიც წარმოდგენილია უნიტარული სახელმწიფოს ორი ძირითადი მახასიათებელი: მათი სტატუსის დადგენა ცენტრალური ხელისუფლების მიერ და ცენტრალური ხელისუფლების ზედამხედველობა ავტონომიაზე.

✓ უნიტარიზმის უპირატესობები

ამრიგად, უნიტარული ტიპის სახელმწიფო ხასიათდება ერთი მთავარი უპირატესობით. ეს არის გადაწყვეტილების მიღების სიმარტივე. ცენტრალური

ხელისუფლება გადატვირთული არაა ტერიტორიული ერთეულების უფლებამოსილებებით და ქვემდგომ ორგანოებთან მრავალი საკითხის შეთანხმება აუცილებლობას არ წარმოადგენს. მათ გააჩნიათ უფლებამოსილებები, რომ გარკვეული ტიპის საკითხები თავადვე მოაგვარონ. ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის პირობებში, რადიკალური რეფორმის განხორციელება უფრო ადვილია. გარდა ამისა უნიტარიზმში თუ ტერიტორიული ერთეულების მთავრობები გამოუცხადებენ ბოიკოტს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციას სახელმწიფოს სუვერენიტეტი არსებობას არ წყვეტს და მას ყველა ბერკეტი გააჩნია აღნიშნული საკითხის მარტივად მოსაგვარებლად, რადგან აქ რთულ ადმინისტრაციულ წარმონაქმნთან არა გვაქვს საქმე როგორც ფედერაციის დროს. ფედერაციის დროს თუკი ფედერაციის სუბიექტები, შეწყვეტენ ცენტრალურ ხელისუფლებასთან ურთიერთობას, სახელმწიფოებრიობა ირღვევა.

დასკვნა

ამრიგად, უნიტარული სახელმწიფო არის სახელმწიფო, რომელსაც განაგებს როგორც ერთიანი ძალა, რომელშიც საბოლოოდ უზენაესია ცენტრალური მთავრობა. ცენტრალურ ხელისუფლებას შეუძლია შექმნას (ან გააუქმოს) ადმინისტრაციული დანაყოფები (ქვენაციონალური ერთეულები). ასეთი დანაყოფები ახორციელებენ მხოლოდ იმ უფლებამოსილებებს, რომელსაც ცენტრალური მთავრობა ირჩევს დელეგირებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური ძალა შეიძლება დელეგირდება რეგიონალურ ან ადგილობრივ მმართველობებთან წესდებით, ცენტრალურმა მთავრობამ შეიძლება გააუქმოს შეცვლილი მთავრობების მოქმედებები ან შეამციროს (ან გაუარყოფდეს) მათი უფლებამოსილებები. მსოფლიოს სახელმწიფოების დიდ უმრავლესობას მაგალითად, გაეროს 193 წევრი ქვეყნიდან 166 ქვეყანას აქვს მმართველთა უნიტარული სისტემა

უნიტარული სახელმწიფოები განსხვავდებიან ფედერაციებისგან, რომლებიც ასევე ცნობილია როგორც ფედერალური სახელმწიფოები. ფედერაციებში, პროვინციის მთავრობები ცენტრალურ მთავრობას უწევს უფლებამოსილებას, როგორც თანაბარი წარმომადგენლები, წერილობითი კონსტიტუციით, რომლის შესასრულებლად საჭიროა ორივე მათგანის თანხმობა. ეს ნიშნავს, რომ ქვენაციონალურ დანაყოფებს აქვთ არსებობის უფლება და უფლებამოსილებები, რომლებიც არ შეიძლება ცალმხრივად შეცვალოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ.

დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო უნიტარული სახელმწიფოს მაგალითია. შოტლანდიას, უელსს და ჩრდილოეთ ირლანდიას გააჩნიათ ავტონომიური ძალაუფლება გარკვეული ხარისხით, მაგრამ ამგვარი უფლებამოსილება დელეგირებულია გაერთიანებული სამეფოს პარლამენტის მიერ, რომელმაც შეიძლება მიიღოს კანონები ცალმხრივად შეცვლის ან გაუქმების შესახებ (ინგლისს არ გააჩნია რაიმე ძალაუფლება). ანალოგიურად ესპანეთის სამეფოში, გადაცემული უფლებამოსილებები დელეგირდება ცენტრალური მთავრობის მეშვეობით. ბევრ უნიტარულ სახელმწიფოს არ აქვს ისეთი სფეროები, რომლებსაც აქვთ გარკვეული ავტონომიის ხარისხი. ასეთ ქვეყნებში, ქვემდებარე რეგიონებს არ შეუძლიათ გადანაცვლონ საკუთარი კანონები. ამის მაგალითებია რუმინეთი, ირლანდიის რესპუბლიკა და ნორვეგიის სამეფო.

თავი III

ფედერალიზმი

3.1. ფედერალიზმის ისტორიულ საწყისებთან

ფედერალური სახელმწიფოს იდეა მომდინარეობს ძველი საბერძნეთიდან და რომიდან. ამ უძველესი სახელმწიფოების პოლიტიკური განვითარების ისტორია მოწმობს, რომ ფედერალიზმი სულაც არ არის ახალი დროის ქმნილება. მისი ელემენტები გამოიყენებოდა ანტიკური სახელმწიფოების პოლიტიკურ წყობაშიც. საწყის ეტაპზე ორივე სახელმწიფოში ფედერალიზმი გამოიხატებოდა საგარეო, სამხედრო პირობებში, დამოუკიდებელი ქალაქ-სახელმწიფოების გაერთიანებაში. საბერძნეთის ისტორიაში ამფიქტიონების სახით გვხვდება მრავალგვარი, კონფედერალური გაერთიანებების მაგალითი. მაგრამ ამ სახელმწიფოს განვითარებაზე განსაკუთრებული ზეგავლენა იქონია ორი კონფედერაციის აქეისა და ეტოლიის კავშირმა. ქალაქ-საქელმწიფოების გაერთიანება წარმოებდა, არა დაპყრობებისა და ინკორპორაციების გზით, არამედ გარკვეული კონფედერალური და ფედერალური კავშირების ფორმების გამოყენებით. არსად იმგვარი ხარისხითა და მკაცრი თანმიმდევრობით, როგორც აქეელთა სახელმწიფოებრივ წყობილებაში, არ ყოფილა განხორციელებული

თანასწორობა, თავისუფლება და საერთოდ ჭეშმარიტი სახალხო მმართველობა, რადგანაც კავშირის არცერთი საწყისი მონაწილე არ იყენებდა არავითარ უპირატესობას. პირიქით, ყოველი ახლად შეერთებული, წევრი შედიოდა, სავსებით თანასწორი უფლებით, ამიტომ, ამ წყობილებას სწრაფად მიაღწია დასახულ მიზანს. ვინაიდან გააჩნდა ორმაგი, საიმედო საყრდენი, თანასწორობასა და კეთილმონწყალებაში. აქეის კავშირის, სუვერენულ ორგანოს წარმოადგენდა, გაერთიანებული ქალაქების ხალხთა შეკრება, რომლის მმართველი ორგანოც იყო – საბჭო, ფედერალური ორგანო, რომელიც შედგებოდა ყველა ქალაქის, თანაბარი რიცხვის წარმომადგენელთაგან კავშირი არ შთანთქავდა ცალკეული სახელმწიფო-რესპუბლიკების, სუვერენულ უფლებებს, რომლებიც ინარჩუნებდნენ სრულ საშინაო, უზენაესობას და საგარეო უფლებებს, მხოლოდ ნაწილობრივი შეზღუდვით კავშირის სამხედრო და ფინანსური საშუალებები იკრიბებოდა კონფედერაციის ყოველი წევრის შენატანებისაგან.

ამ გაერთიანებისაგან თავისი ხასიათით განსხვავდებოდა ძველი რომის სახელმწიფო წყობილება, თეოდორ მომზენი⁷ მიიჩნევს, რომ მისთვის დამახასიათებელი იყო ორი ძირითადი ნიშანი: კავშირის უთანასწორობა, არა მხოლოდ ფაქტიურად, არამედ სამართლებლივადაც, რადგან ჰეგემონია ეკუთვნოდა რომს. ამასთან ერთად დანარჩენი პოლიტიკური, ერთეულები ინარჩუნებდნენ შეზღუდულ სუვერენიტეტს. რომის ხელისუფლებას შეეძლო იმპერიის სახელით ეწარმოებინა ომები და მოეთხოვა კავშირის სხვა წევრებისგან მხოლოდ თავისი ხელშეკრულებების შესრულება. ამის იქით ყოველი წევრი თავისუფალი იყო მმართველობაში, რესპუბლიკა არ ერეოდა თავისუფალი ქალაქების მმართველაში, მაგრამ ეს პრინციპი არაერთხელ დაირღვა და შეიზღუდა რესპუბლიკის პერიოდში. რომის სახელმწიფო ითხოვდა სპეციალურ პრივილეგიებს, რაც ზიანს აყენებდა მოკავშირეთა ავტონომიას. მოვლენების ამგვარ განვითარებას ერთის მხრივ, თავისი კანონზომიერებაც გააჩნდა, ვინაიდან ყოველი უთანასწორო კავშირი აუცილებლად შეიცავს თავის თავში დანარჩენი პოლიტიკური

⁷ თეოდორ მომზენი - გერმანელი ისტორიკოსი, ძველი რომის ისტორიისა და რომის სამართლის სპეციალისტი.

ერთეულების რაც შეიძლება მეტი უფლებების ატროფირებისაკენ მისწრაფებას, რაც გახდა კიდევ რომის პოლიტიკური ისტორიის საბოლოო შედეგი. ჩვ.წ.აღ-მდე 337 წელს გაუქმებული იქნა კავშირის ორგანიზაციის საფუძველი ფედერალური კრება *consilium*. რამაც მთელი ხელისუფლების რომის ხელში მოქცევა და კავშირის რღვევა გამოიწვია.

უძველეს ფედერალურ გაერთიანებებთან, ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ფედერალიზმის პირველი სპეციალური წერილობითი თეორიის ფუძემდებლად ითვლება *იოჰანეს ალთუზიუსი (1562–1638)* რომელმაც შეიმუშავა სახალხო სუვერენიტეტის ფედერალური თეორია. იგი მიიჩნევდა რომ *ფედერაცია ეფუძნება კავშირისა და თანხმობის საფუძველზე ახლადშექმნილი გაერთიანებების მცირე კავშირებზე იერარქიულ ამალლებას, ოჯახიდან დაწყებული სახელმწიფოთი დამთავრებული*. ჩვენამდე მოღწეული წერილობითი ფორმით გაფორმებული ფედერაციის ყველაზე უფრო, გამოკვეთილ ადრინდელ ნიმუშს წარმოადგენდა ნიდერლანდების გაერთიანებული პროვინციების რესპუბლიკა, რომელიც ეფუძნებოდა 1579 წლის *უტრეხტის უნიის აქტს*⁸. შვიდი ჩრდილოეთის პროვინციის კონფედერაცია შეიქმნა ესპანელი კოლონიზატორებისაგან საერთო დაცვის მიზნით. კონფედერაციულ გაერთიანებას გააჩნდა ორი ცენტრალური ორგანო გენერალური შტატების კრება, რომლისთვისაც არსებითი იყო გაერთიანებული პროვინციების, ინტერესების დაცვა და სახელმწიფო საბჭო. რომელიც მონოღებული იყო კავშირის ერთიანობის უზრუნველყოფისაკენ. მოგვიანებით ამ ორი ორგანოს აგების მექანიზმები და ფუნქციები საფუძვლად დაედო ფედერაციების პარლამენტის ორი პალატის შექმნის მოდელს. ნიდერლანდების უნიის პარლამენტი გენერალური შტატების კრება მდებარეობდა ჰააგაში, რომელიც ერთობლივად უძღვებოდა არმიასა და დიპლომატიურ სამსახურს. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, მათ შორის დადებული ხელშეკრულებების ცვლილებები მიიღებოდა მხოლოდ ერთხმად, რაც ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს ამ გაერთიანების კონფედერალურ ხასიათზე. პარლამენტში დებუტატთა რაოდენობა არ

⁸ აღნიშნული აქტი შეიქმნა 1579 წლის 23 იანვარს ქალაქ უტრეხტში და მიმართული იყო ესპანეთის წინააღმდეგ, რომელიც XVI საუკუნეში ნიდერლანდის ბურჟუაზიული რევოლუციის შედეგად ამ ქვეყანაში თავისი დაკარგული ბატონობის აღდგენას ცდილობდა

იყო ფიქსირებული და თანაბარი ყველა პროვინციებისათვის, მაგრამ ყველა პროვინციას გააჩნდა მხოლოდ ერთი ხმა, მიუხედავად იმისა თუ რამდენი დებუტატით იყო წარმოდგენილი. დებუტატები მოქმედებდნენ მხოლოდ თავისი პროვინციების მითითებებისა და უფლებამოსილებების მიხედვით.

სახელმწიფოთა გაერთიანების მეორე ადრეულ მაგალითს წარმოადგენდა შვეიცარიის კონფედერაცია. პირველი კონფედერალური ხელშეკრულება 1291 წელს დაიდო სამ კანტონს ურს, შვიცსა და უნტერვალდენს შორის, რომლებსაც შემდეგ კიდევ მიუერთდა 10 კანტონი. კონფედერალური კავშირი კანტონებს შორის იყო უალრესად არაორგანიზებული და არასრულფასოვანი. კანტონები იყვნენ სუვერენული, მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომ მათ დაკარგეს ზოგიერთი, საერთაშორისო უფლებები, არ შეეძლოთ დაედოთ ხელშეკრულებები სხვა სახელმწიფოებთან, სამოკავშირეო ხელისუფლების ძირითადი ამოცანა იყო სამოკავშირეო ტერიტორიის დაცვა. ცენტრალური ხელისუფლების ორგანიზაცია იყო ფრაგმენტალური, არ არსებობდა სამოკავშირეო აღმასრულებელი, ხელისუფლება, ფუნქციონირებდა მხოლოდ არამუდმივი, დროებითი ორგანო სეიმი (tagsatzung), სადაც ყოველი კანტონი ორი წევრით იყო წარმოდგენილი. შვეიცარიის კონფედერაციამ ამ სახით 1798 წლამდე იარსება, საფრანგეთის რევოლუციამ თავისი რაზმების მეშვეობით შვეიცარიაში შექმნა ცენტრალიზებული საფრანგეთის 1795 წლის კონსტიტუციის მოდელის მსგავსი ჰელვეციის რესპუბლიკა.

შვეიცარიის ცენტრალიზებული წყობა, არ შეესაბამებოდა მის ისტორიულ ტრადიციებს, რამაც ახალი წინააღმდეგობები და კონფლიქტები წარმოშვა კანტონებს შორის. 1803 წელს ნაპოლეონმა გამოსცა საშუამავლო აქტი, რომელმაც შვეიცარიის 19 კანტონის თავისებურ ფედერაციად ჩამოყალიბება მოახდინა. ამ აქტმა შვეიცარიას მოუტანა გაერთიანება ცენტრალური ხელისუფლების უფლებამოსილება კონფედერაციის ეპოქასთან შედარებით, გაფართოებულ იქნა. მას მიეკუთვნება საგარეო ურთიერთობები, ხელშეკრულებების დადება, ომისა და ზავის, საკითხები, ცენტრალურმა ხელისუფლებამ შეიძინა, საკუთარი არმიის ყოლისა და საკავშირო

ხაზინისათვის შემოსავლების ამოღების უფლება, ასევე კანტონებს შორის დავების გარჩევის უფლება. კანტონები ინარჩუნებდნენ ყველა იმ უფლებებს, რომლებიც მათ მიერ ცენტრალური ხელისუფლებისათვის სპეციალურად არ იყო დელეგირებული. საკავშირო საქმეების გაძღოლისათვის ორგანიზებულ იქნა მუდმივი, ცენტრალური ორგანო ფედერალური სეიმი, სადაც კანტონები თითო დეპუტატით იყვნენ წარმოდგენილი. საშუამავლო აქტით ასევე დაფუძნებულ იქნა ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლება, მას მეთაურობდა landmann იმ ქალაქის ბურგერმისტრი, სადაც მიმდინარეობდა სეიმის მუშაობა. ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ, 1815 წელს ვენის კონგრესი შეეცადა აღედგინა ყოველივე, რაც ნაპოლეონის მიერ იქნა დარღვეული. მათ შორის ლიკვიდირებულ იქნა შვეიცარიის ორგანიზაციის 1803 წლის აქტიც. 1815 წელი შვეიცარიის 22 კანტონს შორის დადებულ იქნა ახალი ხელშეკრულება, რომელმაც კანტონებს დაუბრუნა ძველი კონფედერაციის დროინდელი, სუვერენიტეტი. გაუქმებულ იქნა ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლება და მთლიანად აღმასრულებელი საქმიანობა კანტონებს დაეკისრა. ხელშეკრულების მე-15 მუხლით დადგენილ იქნა, რომ კონსტიტუციის შეცვლისათვის საჭირო იყო ყველა კანტონის ერთსულოვანი გადაწყვეტილება. ეს წესი კანტონებს შორის ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში გამორიცხავდა პოლიტიკურ-სამართლებრივ შეთანხმებების გზით გადაწყვეტილებების მიღებასა და კონსტიტუციის შეცვლის შესაძლებლობებს. 1848 წლის კონსტიტუციის საფუძველზე, შვეიცარიის კავშირმა მოახდინა ახალი ფედერალური სახელმწიფოს ჩამოყალიბება, რომელიც 1874 წლის კონსტიტუციის ნაწილობრივი ცვლილებებით დღემდე პირვანდელი სახით არსებობს.

შვეიცარიის კავშირის ევოლუციას მკვლევარები ორი კუთხით ანიჭებენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას. მან, ერთი მხრივ, ჩვენ დრომდე თითქმის უწყვეტი, მემკვიდრეობით მოიტანა შუა საუკუნეების რესპუბლიკური დანესებულებები, მეორე მხრივ, განვითარების ნელი გზითა და ბრძნული ხელშეკრულებებით გაერთიანა ერთ ჯგუფში მათი რასის, ენისა და დანესებულებების თვალსაზრისით უკიდურესად

განსხვავებული ერთეულები, არ დაარღვია რა, ამასთან ერთად მათი ინდივიდუალურობა.

ნიდერლანდებისა და შვეიცარიის, კონფედერაციების განვითარება, იძლეოდა გარკვეულ გამოცდილებას უფრო დახვეწილი სახელმწიფოებრივი კავშირის შექმნისათვის სპეციალისტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ჩრდილო-ამერიკის კონფედერაციის წარმოშობა და განვითარება უტრეხტის, უნიისა და შვეიცარიის კონფედერაციის ნორმების გარკვეულ ზეგავლენას განიცდიდა. თუმცა არიან ასეთი მოსაზრებების მოწინააღმდეგეც. მ. კოვალევსკის აზრით აშშ-ს კონსტიტუციის საწყის საფუძვლებს წარმოადგენდა 1784 წელს, ოლბენში ბენჯამინ ფრანკლინის მიერ წარმოდგენილი პროექტი ჩრდილო – ამერიკის კოლონიების ერთ ფედერაციაში გაერთიანების შესახებ. ამ პროექტის ბევრი ნიშანი დაედო შემდგომ საფუძვლად 1787 წლის კონსტიტუციას.

ამრიგად, თანამედროვე ფედერალიზმს საფუძველი ჩაეყარა რამდენიმე ასეული წლის წინ ფილადელფიაში, სადაც დაწერილ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია, ამ კონსტიტუციის ავტორებმა შეიმუშავეს ახალი პოლიტიკური ფორმა რომელიც ჯეიმს მედისონის აზრით, არ იყო არც მთლიანად ეროვნული და არც მთლიანად ფედერალური. საზოგადოების ერთდროულად ურთიერთსაწინააღმდეგო პოლიტიკური მისწრაფებების გათვალისწინებით ეს იყო ერთადერთი კომპრომისული ვარიანტი, ვინაიდან ინგლისის სახელმწიფოს ყოფილი 13 კოლონია დამოუკიდებლობისათვის ომის შემდეგ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გაერთიანებულიყვნენ „შეერთებულ შტატებში“ ისე, რომ არ დაეკარგათ და შეენარჩუნებინათ თავისი თვითმყოფადობის სრული გამოხატულება. კონსტიტუციის შემქმნელებისათვის მათზე დაკისრებული ამოცანების სიმძიმე ნათელი იყო 13 უნდა გამხდარიყო ერთი და ეს ერთი მაინც უნდა ყოფილიყო 13.

3.2. ფედერალიზმი, როგორც სახელმწიფო მონყობის ფორმა

ურიდიულ ლიტერატურაში სახელმწიფოს ტერიტორიული მონაცემების ფორმებს შორის, დეცენტრალიზაციის მაღალი ხარისხის გამო, ფედერალიზმი ყველაზე დემოკრატიულ ფორმად არის მიჩნეული. ფედერაციული სახელმწიფო საკონსტიტუციო დონეზე პირველად ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოყალიბდა. ამ ჩამოყალიბებას საფუძვლად ედო ორი ძირითადი მოვლენა. პირველი - საზოგადოებაში არსებული ეროვნული მთლიანობის მიღწევის სულისკვეთება და მზაობა და მეორეს მხრივ - შტატების დონეზე ადგილობრივი ხელისუფლების თავისუფლების შენარჩუნების განსხვავებული ნებასურვილი. სწორედ ამ ორი ინტერესის წონასწორობაზე აიგო ამერიკის ფედერალური წყობილება.

პოლიტიკურ მეცნიერებაში განასხვავებენ სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო (საკონსტიტუციო) ფედერალიზმს.

სახელშეკრულებო ფედერალიზმი წარმოიშობა უნიტარული სახელმწიფოების გაერთიანების გზით. როგორც წესი ისინი თავდაპირველად ქმნიან სახელმწიფოთა კონფედერაციას, ხოლო შემდეგ გადადიან ფედერაციულ წყობილებაზე. ასე მოხდა შეერთებულ შტატებსა და შვეიცარიაში. აღნიშნული მოდელი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს საერთო წარმომავლობის, ან თანაცხოვრობის ხანგრძლივი ისტორიის მქონე მოსახლეობის დაახლოებასთან. ამ დროს ურთიერთმოლაპარაკებისა და შეთანხმების საფუძველზე დგება ხელშეკრულება, რომელიც არეგულირებს ფედერალიზმის წესსა და პირობებს. ამგვარი ფედერაციის დროს მაქსიმალურადაა დაცული მხარეთა ინტერესები.

არასახელშეკრულებო ანუ საკონსტიტუციო ფედერალიზმის, დროს ფედერალიზმის დამფუძნებლად გვევლინება კონსტიტუცია და არა სუვერენულ სახელმწიფოებს შორის მიღწეული შეთანხმება. ამ შემთხვევაში ცენტრალური ხელისუფლება თავის, ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს კონსტიტუციით განსაზღვრულ სახელმწიფოებრივ უფლებამოსილებას ანიჭებს.

ფედერალიზმი შეიძლება დახასიათდეს, როგორც რთული საკავშირო სახელმწიფო, რომელიც ქვესახელმწიფოებრივი წარმონაქმნებისაგან შედგება.

ტერიტორიული ერთეულების სახელმწიფოებრიობა, გამოიხატება იმაში, რომ მათ აქვთ საკუთარი კონსტიტუცია, პარლამენტი, მთავრობა და სასამართლო ხელისუფლება, ფინანსური დამოუკიდებლობა და ა.შ.

ფედერალურ სახელმწიფოებში მოქმედებს ფედერაციის სუბიექტის მოქალაქეობის ინსტიტუტი. ფედერაციის სუბიექტს აქვს საკუთარი დროშა, გერბი და ჰიმნი. პრაქტიკულად ერთ სუვერენულ სახელმწიფოში გაერთიანებულია რემდენიმე არასუვერენული სახელმწიფო.

ფედერალიზმში არსებობს ხელისუფლების ორი დონე: საერთო ფედერალური ხელისუფლება და ფედერაციის სუბიექტების ხელისუფლება. ფედერაციის სუბიექტის ტერიტორია ორმაგი ზემოქმედების ობიექტია. მასზე ერთდროულად ვრცელდება როგორც ფედერაციის სუბიექტის, ისე ფედერალური ხელისუფლების კანონმდებლობა, თუმცა მათი კომპეტენციები მკვეთრად გამიჯნულია. ფედერალურ სისტემაში ფედერაციის სუბიექტი მონაწილეობს საერთო სახელმწიფოებრივი გადანაწილების მიღების პროცესში ფედერაციის სუბიექტის მოცულობისა და მოსახლეობის რაოდენობის მიუხედავად. ეს გახლავთ ფედერაციის სუბიექტების ყველაზე ეფექტური მონაწილეობა საკანონმდებლო ძალაუფლების განხორციელებაში.

ყველა ფედერაციულ სახელმწიფოში, არსებობს სპეციფიკური ორგანო - პარლამენტის ზედა პალატა, რომლის მოვალეობაც ფედერაციის სუბიექტების წარმომადგენლობის უზრუნველყოფაა. ზედა პალატის დაკომპლექტების პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანია ერთეულების პარიტეტის დაცვის პრინციპი. ამ მიზნით, ფედერაციის სუბიექტების წარმომადგენლობა თანასწორია. უფლებამოსილების თვალსაზრისით ფედერაციულ სახელმწიფოებში ეს პალატა მნიშვნელოვან კომპეტენციებს ფლობს. ამ კუთხით ფედერალიზმში სამი ტიპის ზედა პალატის გამოყოფა შეიძლება:

პირველი ტიპი - როცა ზედა პალატა ქვედა პალატასთან შედარებით დამატებით უფლებამოსილებებსაც ფლობს (აშშ).

მეორე ტიპი - როცა ორივე პალატა სრულიად თანასწორუფლებიანია.

მესამე ტიპი - როცა თანაბარი უფლებების ფონზე, მხოლოდ ფედერაციის კანონმდებლობისა და ადმინისტრაციის საკითხებში, ასევე აღმასრულებელი ძალაუფლების განხორციელებაში მონაწილეობა არის შედარებით ირიბი და სუსტი. (გერმანია). თუმცა აღსანიშნავია, რომ მაღალი დონის მოხელეების დანიშვნისას შესაბამისი პროპორციით უნდა იყოს წარმოდგენილი ყველა მინა (გერმანია). სხვა ფედერალურ უწყებებში მომუშავე პირები უნდა აიყვანონ იმ მიწიდან, სადაც მოქმედებენ აღნიშნული უწყებები. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი კვოტა მოდის რეგიონებისათვის სასამართლო ხელისუფლებაშიც. საკონსტიტუციო ცვლილებები, დამტკიცებული უნდა იქნას ფედერაციის სუბიექტების კვალიფიციური უმრავლესობის მიერ.

ფედერაციულ სახელმწიფოებში ცენტრისა და ფედერაციის სუბიექტების კომპეტენციები ერთმანეთისგან გამიჯნულია. ამ მხრივ განასხვავებენ ოთხი სახის უფლებამოსილებას.

1. **ფედერაციის ექსკლუზიური უფლებამოსილება.** ეს იმ საკითხთა წრეა, რომელიც მხოლოდ ფედერაციულ ხელისუფლებას ეკუთვნის. როგორც წესი, ასეთ სფეროებს მიეკუთვნება ქვეყნის თავდაცვა, ფულად - საკრედიტო პოლიტიკა, საგარეო ურთიერთობები, ფედერალური ხელისუფლების ორგანიზაცია, საგადასახადო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.

2. **ფედერაციის სუბიექტის ექსკლუზიური უფლებამოსილება.** ეს იმ საკითხების ჩამონათვალია, რომელიც კონკრეტულად ფედერაციის სუბიექტებს ეკუთვნის. ფედერაციის სუბიექტის უფლებამოსილებას მიეკუთვნება: საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცება, განათლება, ჯანდაცვა, სპორტი, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაცია. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ფედერაციის სუბიექტები გამოსცემენ კანონებს.

3. **ერთობლივი ე.წ კონკურენციული უფლებამოსილება.** კონკურენციული საკითხების მოწესრიგების უფლება, აქვს როგორც ცენტრს, ისე ფედერაციის სუბიექტს. ფედერაციული ხელისუფლების მიერ ჩარჩო კანონების მიღების შემდეგ ფედერაციის სუბიექტი ახდენს მის დეტალურ რეგლამენტაციას. ასევე ფედერაციის სუბიექტებს

აღნიშნული სფეროს საკანონმდებლო მოწესრიგება შეუძლიათ იმ შემთხვევაში, თუ ფედერალურ ხელისუფლებას საკანონმდებლო ნორმები, გამოცემული არა აქვს. ფედერაციის სუბიექტები საკუთარი აქტებით განსაზღვრავს ამ საკითხებს მანამ, სანამ ცენტრალური ხელისუფლება არ გამოსცემს შესაბამის ნორმებს.

4. **ნარჩენი უფლებამოსილება.** ნარჩენი უფლებამოსილებად მიიჩნევა ყველა ის უფლებამოსილება, რომელიც ზემოაღნიშნულ სამში არ შედის. ნარჩენი უფლებამოსილება ძირითადად ფედერაციის სუბიექტებისათვისაა მიკუთნებული. ფედერალურ სახელმწიფოთა ნაწილი განამტკიცებს ფედერაციის ცენტრის უფლებამოსილებას, დანარჩენი კი ფედერაციის სუბიექტის გამგებლობას მიეკუთნება. ნაწილი კი განამტკიცებს როგორც ცენტრის, ასევე სუბიექტების ამ კონკურენციულ უფლებამოსილებას. სახელმწიფოთა ნაწილი ყველა აღნიშნულ სახეს, განსაზღვრავს კონსტიტუციით.

✓ სიმეტრია თუ ასიმეტრია

პრაქტიკაში განასხვავებენ **სიმეტრიულ და ასიმეტრიულ** ფედერალიზმს. სიმეტრიული ფედერალიზმის დროს ფედერაციის სუბიექტები ფედერალურ ხელისუფლებასთან მიმართებით თანაბარი უფლებებით სარგებლობენ, ასიმეტრიული ფედერალიზმის დროს კი სახელმწიფოს ფედერაციის სუბიექტებს აქვთ განსხვავებული სამართლებრივი სტატუსი და უფლებები. მაგალიტად, ამერიკის შეერთებულ შტატებში კოლუმბიის ფედერალურ ოლქს აქვს დანარჩენი 50 შტატისაგან განსხვავებული სტატუსი. კოლუმბიის ოლქს არ ჰყავს წარმომადგენელი სენატში და იგი სათათბირო ხმის უფლების მქონე დებუტატით არის წარმოდგენილი წარმომადგენელთა პალატაში.

3.3. ფედერალიზმის დადებითი და უარყოფითი მხარეები

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო მოწყობის ფედერალური მოდელისას მრავალი სუბიექტის არსებობას დადებით მომენტებთან ერთად უარყოფითი მხარეებიც გააჩნია, ხანდახან ტერიტორიული ერთეულების დეზინტეგრაციისა⁹ და სახელმწიფოს დაშლის სახითაც კი. ამიტომ ფედერაციული სახელმწიფოს არსებობისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია ცენტრალური ელემენტების არსებობა.

ფედერალური სახელმწიფოს ერთიანობის უზრუნველმყოფ ექვს ძირითად პრინციპს გამოყოფენ ესენია.

1. სეკსიის (გამოყოფის) აკრძალვა;
2. უფლება-მოცულობის ცალმხრივად შეცვლის დაუშვებლობა;
3. ფედერაციის მთელ ტერიტორიაზე ადამიანების, ინფორმაციისა და სხვადასხვა სამომხმარებლო საქონლის თავისუფალი გადაადგილება;
4. ფედერალური კანონმდებლობის უზენაესობა. ნორმატიული აქტების იერარქიაში ფედერალურ სამართალს ფედერაციის სუბიექტის სამართალთან მიმართებით უპირატესობა აქვს;
5. ფედერაციის სუბიექტების კონსტიტუციები უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფოს ძირითადი კონსტიტუციის მოდელს;
6. თუ ზემოთაღნიშნული ხუთი პრინციპი საკმარისი არ აღმოჩნდა, მაშინ გამოიყენება ფედერაციული ინტერვენციის¹⁰ ინსტიტუტი. ფედერალური ინტერვენცია გულისხმობს ფედერაციის სუბიექტის იარაღით, ან მის გარეშე დახმარებას, თუ მას დამოუკიდებლად არ შეუძლია საშინაო წესრიგისა და მშვიდობის უზრუნველყოფა. ფედერალური სახელმწიფოების კონსტიტუციები, ითვალისწინებენ ფედერალური ჩარევის, სხვა სახეებსაც, როდესაც ფედერაციის სუბიექტი, არ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. ან შეგნებულ წინააღმდეგობას უწევს, ცენტრალურ ხელისუფლებას.

⁹ დეზინტეგრაცია - რაიმე მთელის ნაწილებად დაშლა და დანაწევრება

¹⁰ ინტერვენცია - *E. intervention* ეს საერთაშორისო ტერმინია და ნიშნავს სხვადასხვა ფორმით ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოს იურისდიქციაში ჩარევას. ასეთ ჩარევას შესაძლოა მოასწავებდეს პირად ან ჰუმანიტარულ მიზნებს.

ფედერალიზმი განსხვავებული ეთნიკური, ლინგვისტური და კულტურული ჯგუფების მშვიდობიანი თანაარსებობის საშუალებას იძლევა. ფედერალიზმში არ არსებობს ეროვნული უმცირესობა, არსებობს სახელმწიფოს დამაარსებელი ერთ-ერთი სუბიექტი. ფედერალიზმში არსებობს არა რეგიონული ენები, არამედ სახელმწიფო ენები, რომლებიც თანაბრად გამოიყენება ცენტრალური ხელისუფლების მიერ, მაგალითად შვეიცარია. ფედერალიზმი გარკვეულწილად ბოჭავს ცენტრალური ხელისუფლების ტირანიას და წარმოადგენს ძალაუფლების გამიჯვნას ვერტიკალურ ჭრილში. აღნიშნულით კი უზრუნველყოფილს ხდის ადამიანთა კოლექტიურ თავისუფლებას. იგი ასევე უზრუნველყოფს პოლიტიკურ პრულარიზმს ფედერაციის სხვადასხვა სუბიექტში და განსხვავებული პარტიების არსებობის გარანტორია. ასევე მნიშვნელოვანი დადებითი მოვლენაა მმართველობაში ხალხის აქტიური მონაწილეობა როგორც ცენტრალურ ისე ადგილობრივ დონეზე. მატერიალური რესურსების ერთ ცენტრში თავმოყრის ნაცვლად ხელს უწყობს ეკონომიკის თანაბარ განვითარებას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

ფედერალიზმს დადებითთან ერთად თავისი უარყოფითი მხარეებიც აქვს. როგორც აღინიშნა უნიტარულ სახელმწიფოში ტერიტორიული მთლიანობის რღვევა არ იწვევს სახელმწიფოს ნების გამომხატველი ხელისუფლების კვდომას. ფედერაციის დროს, თუ კი ფედერაციის სუბიექტები შეწყვეტენ ცენტრალურ ხელისუფლებასთან ურთიერთობას სახელმწიფოებრიობა ირღვევა. სწორედ ამის გამო გაერთიანებულმა სამეფომ უარი თქვა ფედერალიზმზე და გამოიყენა დეცოლუციის იდეა. შოტლანდიას გადასცა ყველა სამინაო საქმის გადაჭრის უფლება ისე, რომ მისი სტატუსი ცენტრალური ხელისუფლების კონტროლ ქვეშ დარჩა. ცენტრალიზმი საჭიროა რეფორმების სწრაფად გასატარებლად. სახელმწიფოს კრიზისის დროს, განსაკუთრებით საჭიროა ერთიანი, მოქნილი და ეფექტური ღონისძიებების გატარება. ამიტომ ბევრ ფედერაციულ სახელმწიფოში ხორციელდება ცენტრალური რეფორმების გატარება. ცნობილია რომ ოკუპანტებმა გერმანიის ფედერალურ მოდელზე გადაყვანა მისი დასუსტების მიზნით განახორციელეს. თუმცა გერმანიამ შემდგომ ცვლილებები შეიტანა კონსტიტუციაში.

დღეს ეკონომიკასა და ფინანსებში ფედერალური სახელმწიფო ახალ როლს ასრულებს, რომელიც, 1949 წლის კონსტიტუციით გათვალისწინებული არ იყო. მსგავსი ტენდენციები შეინიშნება სხვა ფედერაციულ სახელმწიფოებშიც. ამ დროს ფედერალიზმის ახალი ტიპი კოოპერაციული ფედერალიზმი წარმოიშვა, მას შემდეგ რაც დადგინდა, რომ შეუძლებელია საკითხების მკვეთრი განცალკევება. საჭიროა გახდა კოოპერაცია და შეთანხმება.

3.4. ფედერაცია დეკონცენტრაციისა და დეცენტრალიზაციის ჭრილში

ცნობილი ფაქტია, რომ ტერიტორიული ერთეულები ფართო უფლებამოსილებით, სარგებლობენ დეცენტრალიზებული ტიპის უნიტარულ სახელმწიფოებშიც. დეცენტრალიზაცია მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია, როგორც უნიტარული, ისე ფედერაციული სახელმწიფოსათვის, მაგრამ სხვაობა დეცენტრალიზაციის ხარისხში, კომპეტენციის მოცულობასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობაშია. უნიტარული დეცენტრალიზაცია კომპეტენციის თვალსაზრისითაც ნაკლებია ფედერალურ დეცენტრალიზაციაზე. ის ძირითადად სოციალურ-კულტურულ სფეროებს მოიცავს და ამავე დროს ხშირად დეკონცენტრაციის ელემენტებთან ერთად გვხვდება. ფედერაციული სახელმწიფო უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ დეცენტრალიზაცია.

დეცენტრალიზებული ფედერალური სახელმწიფო დეცენტრალიზებული უნიტარული სახელმწიფოსგან რამოდენიმე განმასხვავებელი ნიშნებით შეიძლება გამოიყოს. ესენი შემდეგი სახით შეიძლება ჩამოყალიბდეს:

1. ფედერალიზმში ადგილობრივი ორგანოები დამფუძნებელი ძალაუფლებითაა აღჭურვილი, რომელიც მათ იმანენტურად აქვთ და არა სახელმწიფოს მიერ ბოძებული. შესაბამისად, სახელმწიფოს არც მისი წართმევა შეუძლია. დამფუძნებელი ხელისუფლება გამოიხატება ფედერაციის სუბიექტის მიერ საკუთარი კონსტიტუციის მიღებაში, რომელსაც არ ჭირდება ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ნებართვა ან დამტკიცება. ადგილობრივი ხელისუფლება, კონსტიტუციის შემუშავებისას, შებოჭილია

მხოლოდ საერთო, ფედერალური კონსტიტუციით, რომელთან შესაბამისობაში უნდა იყოს მის მიერ განსაზღვრული წესები, ასევე ფედერაციის სუბიექტთა, განსაზღვრული რაოდენობის თანხმობის გარეშე შეუძლებელია ფედერალურ კონსტიტუციაში, ცვლილებების შეტანა.

2. ფედერაციის სუბიექტი თავის საქმიანობაში არის დამოუკიდებელი და არ ექვემდებარება ცენტრალური ხელისუფლების ადმინისტრაციულ კონტროლს. ფედერაციის სუბიექტს აქვს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლება, ფედერალური ხელისუფლება და ფედერაციის სუბიექტები თანასწორები არიან და არც ერთი ფლობს მათი ურთიერთობის ცალმხრივად, შეცვლის უფლებას. ადგილზე წარმოდგენილი არაა ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები. ცენტრსა და სუბიექტებს შორის დავა, წყდება ნეიტრალური ორგანოს – საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, რომლის წევრების დანიშვნაშიც ფედერაციის სუბიექტები მონაწილეობენ.

3. ფედერაციის სუბიექტები არიან არა სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილები, არამედ ერთი საერთო სახელმწიფოს დამაარსებელი სუბიექტები, რომლებიც სახელმწიფოს დაარსების შემდეგაც ინარჩუნებენ თავიანთ ძალაუფლებას. ეს გამოიხატება ერთი მხრივ, ფედერაციის სუბიექტის ფართო კომპეტენციით და მეორე მხრივ სახელმწიფოს მართვის პროცესში მონაწილეობით. დეცენტრალიზებული უნიტარული სახელმწიფოს ზედა პალატებისგან განსხვავებით, ფედერაციის სუბიექტების ინტერესების გამომხატველი საკანონმდებლო ორგანოს ზედა პალატა მნიშვნელოვან როლს ასრულებს საკანონმდებლო პროცესში. ფედერაციის სუბიექტებს მეტი პოლიტიკური წონა აქვთ. ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ მათი თანხმობით და მონაწილეობით. ფედერაციის სუბიექტები ცენტრალური ხელისუფლების ნებისმიერ ორგანოშია, წარმოდგენილი და მათ რეალური შესაძლებლობა აქვთ გავლენა მოახდინონ ქვეყნის მართვაზე. უნიტარულ სახელმწიფოში დეცენტრალიზაციის ფარგლებში ტერიტორიული ერთეულის უფლებამოსილებათა წრე ზოგ შემთხვევაში შესაძლოა ფედერაციის სუბიექტისასაც

აღმატებოდეს, მაგრამ განსხვავებული ნიშანი მათ შორის ისაა, რომ მათ ნაკლებად ეკითხებათ სახელმწიფოს საერთო ბედი.

4. ძალაუფლების ვერტიკალური გამიჯვნის პრინციპი. ფედერალურ სახელმწიფოში ძალაუფლება შეიძლება სასამართლო ხელისუფლებაზეც გავრცელდეს უნიტარულ დეცენტრალიზებულ სახელმწიფოში სასამართლო ხელისუფლება დეცენტრალიზაციას არ ექვემდებარება.

იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ფედერალიზმი დეცენტრალიზაციის, ყველაზე მყარი და ძლიერი საშუალებაა. თუმცა ფედერალიზმი, თავისი არსით უფრო ნონცენტრალიზაციაა, ვიდრე დეცენტრალიზაცია. ნონცენტრალიზაცია გულისხმობს ერთი სუპერ ცენტრის არარსებობას. ცენტრი პერიფერიის მოდულის კი არ უარყოფს პირიქით, ქვეყნის მამტაბით, მრავალი თანასწორი სუბიექტის არსებობას აღიარებს.

დასკვნა

ამრიგად, თუ შევაჯამებთ ფედერალური სისტემის განხილვის შედეგებს, ნათელი გახდება რომ მის კონცეფციას საფუძვლად უდევს ხუთი ძირითადი პრინციპი.

➤ ფედერალურ სახელმწიფოში ფუნქციონირებს ორი კონსტიტუციური ხელისუფლება: ცენტრალური და ფედერაციის წევრების ხელისუფლება. მათ შორის კონსტიტუციით გამიჯნულია უფლებამოსილებები.

➤ ფედერალურ სახელმწიფოში სუვერენულ ხელისუფლებას აქვს ორმაგი წყარო. ერთ მთლიანობაში აღებული ყველა მოქალაქის ნება და ცალკეული ფედერაციის წევრების ნება. ამ ორი ნების წონასწორობაზე დგას, ფედერალური სახელმწიფო.

➤ ფედერაციის წევრებს აქვს ცენტრალური ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაცია და საკუთარი უფლებამოსილებების დამოუკიდებლად განხორციელებასთან ერთად საერთო სუვერენიტეტის წარმოშობაში მონაწილეობის როლი.

➤ ცენტრალურ ხელისუფლებასა და ფედერაციის წევრების, სახელმწიფო-სამართლებრივი ურთიერთობები ხასიათდება მხარეთა წონასწორობით. არცერთი მათგანი არ ფლობს ამ ურთიერთობათა ცალმხრივი შეცვლისა და მეორე ხელისუფლების საქმიანობაზე კონტროლის უფლებას. მათ შორის ყველანაირ დავებს იხილავს, საკონსტიტუციო სასამართლო.

➤ ფედერალური წყობილება წარმოადგენს, სახელმწიფოს თუქმდებლურ პრინციპს, რომელიც იმყოფება გაორმაგებული დაცვის ქვეშ. ჩამოყალიბებულ ფედერალურ ძალთა ბალანსის ცვლილებას ესაჭიროება ჯერ ფედერაციის წევრთა ინტერესების დამცველი საკანონმდებლო ორგანოს მხარდაჭერა და შემდეგ ფედერაციის წევრთა მიერ რატიფიკაცია.

თავი IV

საქართველოს ტერიტორიული მონყოების საკითხები

საქართველო მკაცრად ცენტრალიზებული სახელმწიფო არასოდეს ყოფილა, იგი მეტ-ნაკლებად ყოველთვის დემოკრატიულ საწყისებზე იმართებოდა. არასდროს ყოფილა რომელიმე რელიგიის დევნა ან ინკვიზიცია. XIII საუკუნეში მეფობდა ქალი და ა.შ. იგივეს თქმა შეიძლება სახელმწიფოს ტერიტორიული მონყოების საკითხზეც.

ერთიანი საქართველოს შექმნისთანავე მეფე თარნავაზმა სახელმწიფო მეტ-ნაკლები დამოუკიდებლობის მქონე საერისთავოებად დაყო. რომელსაც სათავეში ერისთავები ედგნენ. დავითისა და თამარის პერიოდში კი ქვეყანა სამეფო-სამთავროებად იყო დაყოფილი. სამეფოები ცალკ-ცალკე განაგებდნენ საქმეებს, მართვა-გამგეობა დამყარებული იყო საუწყებო და სათემო პრინციპებზე. სამეფო ხელისუფლება ერისმთავრად იმ პირს ნიშნავდა, რომელიც წარმოშობით ამ კუთხიდან იყო. ივანე ჯავახიშვილის ცნობით, როცა საქართველო ახალ სამფლობელოს შემოიერთებდა იქ დამკვიდრებულ ტრადიციულ მართვა გამგეობის წესს არ ცვლიდა.

სახელმწიფოებრიობის დაკარგვასთან ერთად საქართველომ თავისი ისტორიული განვითარების გზიც დაკარგა, მოიშალა მართვის ტრადიციული, მეთოდები, ოქროს ხანის შემდეგ მონღოლების, თურქების, ირანისა და ბოლოს, რუსეთის შემადგენლობაში მოექცა.

2017 წელს საქართველოში მორიგი საკონსტიტუციო რეფორმა განხორციელდა. კონსტიტუციის გადასინჯვა 1999 წლიდან მოყოლებული პერმანენტულად მიმდინარეობდა, მაგრამ საკონსტიტუციო რეფორმა, რომელიც იწვევდა ძირითადი

კანონის ფუნდამენტალურ ცვლილებას 2017 წლამდე ორჯერ 2004 და 2010 წლებში განხორციელდა. სამივე საკონსტიტუციო რეფორმა სახელმწიფო მმართველობის ახალი სისტემის შემოღებას, ან არსებულის საფუძვლიან გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად. სახელმწიფო მმართველობის ახალი ფორმის ძიება 2017 წელს კლასიკურ საპარლამენტო მმართველობის ფორმის ჩამოყალიბებით დასრულდა. 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის თაობაზე ვენეციის კომისიის საბოლოო დასკვნაში ნათქვამია. „საკონსტიტუციო რეფორმა ამთავრებს, საქართველოს პოლიტიკური სისტემის საპარლამენტო სისტემად გარდაქმნის პროცესს და წარმოადგენს ქვეყნის კონსტიტუციური წყობის კონსოლიდაციისა და გაუმჯობესებისაკენ გადადგმულ პოზიტიურ ნაბიჯს, ეფუძნება დემოკრატიის პრინციპებს, კანონის უზენაესობასა და ძირითადი უფლებების დაცვას“.

შესაბამისად, შეიძლება ითქვას რომ, 2017 წელს საქართველოში, განხორციელებულმა საკონსტიტუციო რეფორმამ დაასრულა ქვეყნის პოლიტიკური სისტემის საპარლამენტო მმართველობის მოდელზე გარდაქმნის პროცესი.

ტერმინი „მმართველობის ფორმა“ მიუთითებს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მონაცობაზე, მათ ურთიერთდამოკიდებულებაზე. საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის მოქმედების პირობებში მმართველობის სხვადასხვა ფორმა არსებობდა. 1995–2004 წლებში საქართველოს მმართველობის მოდელი იყო საპრეზიდენტო, 2004–2013 წლებში ნახევრადსაპრეზიდენტო, 2013 წლის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნებში პრეზიდენტის ფიცის დადებიდან 2018 წლის 23 მარტის კონსტიტუციური კანონის ამოქმედებამდე ნახევრადსაპარლამენტო, ხოლო მისი ამოქმედების შემდეგ საქართველოს მმართველობის ფორმად განისაზღვრა საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ცერემონიალური სტატუსის მქონე წარმომადგენლობითი, შებლუდული უფლებამოსილებებით, აღჭურვილი სახელმწიფოს მეთაური. ასეთი მმართველობის პირობებში, უზრუნველყოფილია პარლამენტის, ინსტიტუციური უზენაესობა, მისი განსაკუთრებული კონსტიტუციური, სტატუსი და როლი, სხვა ორგანოებს შორის.

საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის ახალი რედაქციით მყარი საფუძველი ჩაეყარა პროცედურულ დემოკრატიას, რაც სახელმწიფო ხელისუფლების მითვისების რისკებს მნიშვნელოვნად ამცირებს.

საქართველოს კონსტიტუცია აჭარასა და აფხაზეთს ავტონომიური რესპუბლიკების სტატუსს ანიჭებს. კონსტიტუციის მიხედვით აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციური კანონებით, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია. გამომდინარე იქედან, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია, რუსეთის ფედერაციის მიერ არის ოკუპირებული და მოქმედებს მსოფლიო თანამეგობრობის, საერთაშორისო ორგანიზაციების, მიერ არაღიარებული სეპარატისტული რეჟიმი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ ცალკე კონსტიტუციური კანონია მიღებული. მისი მიღება დაკავშირებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან.

კონსტიტუციის თანახმად აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას გააჩნია ექსკლუზიური და დელეგირებული უფლებამოსილებები. მის განსაკუთრებულ კომპეტენციას მიეკუთვნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების მიღება, მთავრობის სტრუქტურისა და უფლებამოსილების წესის განსაზღვრა, საბიუჯეტო პოლიტიკის განსაზღვრა და განხორციელება და მისი შესრულების კონტროლი, ქონების მართვა და განკარგვა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული მიწის, ტყისა და წყლის რესურსების მართვა და განკარგვა. ასევე ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საგანმანათლებლო, სამეცნიერო, შემოქმედებითი და სპორტული დაწესებულებების შექმნა, მართვა და მხარდაჭერა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ უფლებამოსილებებს დამოუკიდებლად, ცენტრალური ხელისუფლების ინტერვენციის გარეშე, ახორციელებენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოები. სახელმწიფოს მიერ აჭარის, ავტონომიური რესპუბლიკისთვის, უფლებამოსილების დელეგირება დასაშვებია კანონით და მას გადაეცემა ასეთი უფლებამოსილების

რეალიზაციისათვის საჭირო მატერიალური და ფინანსური რესურსები. ნიშანდობლივია, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას შეუძლია ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, ჯამთელობისა და სოციალური დაცვის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული პოლიტიკის სფეროში განახორციელოს ნებისმიერი უფლებამოსილება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობას არ მიეკუთვნება. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას გააჩნია საკუთარი კონსტიტუცია, რომელსაც საქართველოს ორგანული კანონის ძალა აქვს.

2007 წლის 13 აპრილს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა კანონი „ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისათვის სათანადო პირობების შექმნის შესახებ“. კანონის შესაბამისად ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქის ტერიტორიაზე 2007 წელს შეიქმნა დროებითი-ადმინისტრაციული ერთეული. კანონის თანახმად დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მმართველობითი ორგანოა, „დროებითი ადმინისტრაცია“. 2008 წლიდან იგი დევნილობაში საქართველოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებს.

საქართველო მთელი თავისი არსებობის მანძილზე არასდროს არ ყოფილა ერთსახოვანი მთლიანობა, ქართული სახელმწიფო ყოველთვის იყო ინდივიდუალურობისა და მთლიანობის გამოხატულება. საქართველოს სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე მდგარ პრობლემათაგან ერთ-ერთი ურთულესია საქართველოს ტერიტორიული მონაცობის საკითხი. დღეს ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა დამოუკიდებლად განსაზღვროთ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ-პოლიტიკური ორგანიზაცია, ისტორიული, გეოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე. რომელიც თანხვედრაში იქნება ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების და უპასუხებს დღევანდელ ეტაპზე სახელმწიფოს წინაშე მდგარ ამოცანებს.

ტერიტორიული მონაცობის მოდელმა მაქსიმალურად ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფოს მიზნებისა და ფუნქციების გადანყვეტას. ამის მთავარი პირობა ის არის

რომ მან საერთო ეროვნულ და ადგილობრივ ინტერესებს შორის ჰარმონიის მიღწევის შედეგად უნდა გააძლიეროს სახელმწიფო მთლიანობა წაახალისოს ქვეყნის პოლიტიკური ეკონომიკური და კულტურული აღორძინება.

დღევანდელი მდგომარეობით ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე ტერიტორიული მონაცობის საკითხი ჩვენს სახელმწიფოში ღიად არის დატოვებული.

თავი V

სახელმწიფო მონაცობის ფედერაციული და უნიტარული სისტემის შედარებითი ანალიზი

ტერიტორიული მონაცობის მოდელი მნიშვნელოვანია და განსაზღვრავს კომპეტენციის თუ რა მოცულობა დარჩება ცენტრალურ ხელისუფლებას და რა ნაწილი უნდა გადაეცეს ტერიტორიულ ერთეულებს. ეს საკითხი მრავალგანზომილებიანია და მოითხოვს იურისტების, პოლიტოლოგების, ისტორიკოსების, ფსიქოლოგებისა და სხვათა კომპლექსურ მუშაობას. ამრიგად სახელმწიფოს ტერიტორიული მოდელის შემუშავება არ არის მხოლოდ იურიდიული მნიშვნელობის პრობლემა, არამედ საერთო ეროვნულია რომელიც ასახვას ჰპოვებს მთელი საზოგადოების განვითარებაზე. ყოველი ქვეყნის ტერიტორიულ მონაცობას გააჩნია მისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალური ნიშნები, მაგრამ თითოეული მათგანი ასახვას ჰპოვებს ტერიტორიული მონაცობის ორ ძირითად ფორმაში: უნიტარულ ან ფედერალურ მოდელში. ამასთანავე აღსანიშნავია ისიც რომ არ არსებობს წმინდა უნიტარული და წმინდა ფედერაციული სახელმწიფოები. ხშირად უნიტარულ სახელმწიფოს რამდენიმე ფედერალური ნიშანი აქვს და პირიქით ფედერალურს უნიტარულის. მიუხედავად ამისა ტერიტორიული მონაცობის ამ ორ ფორმას შორის არსებობს თვისობრივი კონცეპტუალური სხვაობა,

მაგრამ, იმის განსაზღვრაში სად უნდა გადიოდეს სადემარაკაციო ხაზი უნიტარიზმსა და ფედერალიზმს შორის არ არსებობს თანხმობა. უნიტარიზმსა და ფედერალიზმს შორის კონცეპტუალური სხვაობის კვლევა, ფედერილებულ ერთეულებსა და დეცენტრალიზებულ მხარეებს შორის თვისობრივი სხვაობის დადგენა, უნიტარული და ფედერალური სახელმწიფოს, ცენტრალური ხელისუფლების ბუნებისა და სტრუქტურის განსხვავება, თითოეულ წყობილებაში სუვერენიტეტის წარმოშობის, ორიგინალური ხერხების ძიება დღევანდელ ეტაპზე წარმოადგენს ფუნდამენტალურ და აქტუალურ პრობლემას.

მიღებულია აზრი იმის შესახებ, რომ ფედერალიზმის გონი მდგომარეობს მის შესაძლებლობებში ერთმანეთს შეუთანხმოს და მოარიგოს კონკურირებადი და ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო, განსხვავებული პოზიციები - ტოლერანტობა, პატივისცემა, კომპრომისი, მოლაპარაკებები და ორმხრივი აღიარება. ასეთია ფედერალიზმის დევიზი. მისი იდეა გამოიხატება ერთიანობისა და მრავალფეროვნების, ავტონომიისა და სუვერენიტეტის, საერთო ეროვნულისა და რეგიონულის ურთიერთშეკავებისა და კონტროლის სისტემაში. დღესდღეობით ყველაზე უფრო გავრცელებული გაგებით ფედერალიზმი განიხილება როგორც მსოფლხედველობა, რომლის მიხედვითაც ადამიანის ცხოვრების ორგანიზაციის იდეალური ფორმა ყველაზე უკეთ გამოიხატება მრავალფეროვნებისა და ერთიანობის ურთიერთმოთავსებაში.

აღსანიშნავია რომ როდესაც საუბარია სახელმწიფოში ფედერალური სისტემის შემოღებასა და მის აკვარგინობაზე ამ კითხვას არსებითი პასუხი შეიძლება გაეცეს, მხოლოდ ისეთი საკითხების გარკვევის შემდეგ, როგორცაა ფედერალიზმის არსი, როგორია მისი ხელისუფლების სტრუქტურა, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულება, მისი მიმართება სუვერენიტეტთან და სახელმწიფოს მთლიანობის პრობლემასთან.

სახელმწიფო სამართლის ზოგადი მოხაზულობა შეიქმნა ეპოქაში, როცა ბატონობდა სახელმწიფოს უნიტარული ტიპი. მე-18 საუკუნის ბოლოდან იწყება სახელმწიფოს ახალი ტიპის წარმოქმნა. იქმნება ამერიკის შეერთებული შტატები,

შვეიცარია კონფედერაციიდან იქცევა კანტონების გაერთიანებულ ფედერაციად, იქმნება გერმანიის ფედერაცია და ავსტრია–უნგრეთის დუალისტური მონარქია.

ფედერალიზმის წარმოქმნამ ეჭვებში დააყენა მანამდე არსებული, მტკიცედ დამყარებული შეხედულება, უპირველესად სახელმწიფოში სუვერენიტეტის ცნება. ამ შეხედულებით სუვერენიტეტი არის სახელმწიფოს მუდმივი და აბსოლუტური ხელისუფლება, რომელიც არ ემორჩილება კანონებს და რომელიც არ შეიძლება არაფრით შეიზღუდოს.

მეცნიერ ბოდენის¹¹ მოსაზრებით, სუვერენიტეტი გაიგივებულია სახელმწიფო ხელისუფლებასთან, წარმოდგენილია სუვერენული ხელისუფლების რვა უფლება: კანონმდებლობის, ომის გამოცხადებისა და ზავის დადების, უმაღლესი თანამდებობის პირების დანიშვნის, უზენაესი იურიდიქციის, ერთგულების და მორჩილების, შეწყალების, მონეტის მოჭრისა და გადასახადების აკრეფის უფლებები.

აბსოლუტური ხელისუფლების დოგმას დიდი დარტყმა მიაყენა მონტესკიემ¹², რომელმაც მოგვცა ხელისუფლების დანაწილების თეორია. სუვერენიტეტის დანაწილების კლასიკური თეორია იყო პირველი ცდა აეხსნათ ახალი პოლიტიკური წარმონაქმნი. ეს თეორია უკავშირდება აშშ–ს კონსტიტუციის მამებს ჰამილტონს და მედისონს, აგრეთვე ფრანგ და გერმანულ მეცნიერებს ტოკვილსა და ვაიტცის. ამ დანაწილების მიხედვით ფედერაციულ მოდელში სახელმწიფოები წარმოდგენილია როგორც კავშირი და სუვერენიტეტი მათ შორის გაყოფილია ორ დამოუკიდებელ ნაწილად. სახელმწიფოს ამ ნაწილებს აქვს ერთმანეთისგან დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაცია და დამოუკიდებლად ახორციელებენ თავისი ორგანოების მეშვეობით კუთვნილ უფლებამოსილებებს. მაგრამ ერთ სახელმწიფოში ორი სუვერენული გადამწყვეტი ცენტრის არსებობა შეუთავსებელია სახელმწიფოს ერთიანობასა და მთლიანობასთან, სუვერენულია ის ხელისუფლება რომელიც უზენაესია საშინაო ურთიერთობებში და დამოუკიდებელია საგარეო ურთიერთობისას. ზოგადად სუვერენიტეტის არსი მდგომარეობს იმაში რომ მან უზრუნველყოს

¹¹ ჟან ბოდენი - (1530-1596) ფრანგი იურისტი და განმანათლებელი

¹² შარლ ლუი დე მონტესკიე (1689-1755) ფრანგი მწერალი, ადვოკატი და ფილოსოფოსი

სახელმწიფოს მთლიანობა. იგი განსაზღვრავს სახელმწიფო ორგანოთა იერარქიას, ერთ მთლიანობაში კრავს, ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად დანაწილებულ ხელისუფლების კომპეტენციას, აძლევს ერთი მთლიანი იურიდიული პირის სახეს, იგი ქვეყანას იცავს ქაოსისა და მრავალხელისუფლებიანობისაგან.

მას შემდეგ რაც უარყოფილი იქნა სუვერენიტეტის გაყოფის შესაძლებლობა დარჩა ორი ვარიანტიდან ერთ-ერთი, სუვერენიტეტი მიეკუთვნებინათ ფედერაციის სუბიექტების ხელისუფლებისათვის, ან კავშირის ცენტრალური მთავრობისათვის.

თუ მივიჩნევთ რომ ფედერაციულ სახელმწიფოში სუვერენულია მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლება, ხოლო ფედერირებული წევრები არასუვერენული სახელმწიფოებია, მაშინ რა ნიშნით განვასხვავოთ ფედერაციის სუბიექტები უნიტარული სახელმწიფოს დეცენტრალიზებული სახელმწიფოსგან? გამოდის რომ თვისობრივი სხვაობა ფედერალურ და უნიტარულ დეცენტრალიზებულ სახელმწიფოებს შორის ფაქტობრივად არ არსებობს.

ასევე საინტერესოა დუალისტური თეორია რომლის თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან იაშჩენკო და უერი. ეს მიმდინარეობა მიიჩნევს, რომ ყოველგვარი პოლიტიკური კავშირი შეიძლება აგებულ იქნას ან პოლიარქიულ სანყისზე, ე.ი დავუშვათ რამდენიმე სუვერენული სახელმწიფოს არსებობა (ანუ კონფედერაცია) ან ერთიან ხელისუფლებაზე, ე.ი დავუშვათ არსებობა ერთი სუვერენული ხელისუფლებისა. ეს არის უნიტარული სახელმწიფოები და ბოლოს დუალისტურ სანყისზე ე.ი დავუშვათ სუვერენული ხელისუფლების განსაკუთრებული რთული წარმოშობა (ეს ფედერალური სახელმწიფოებია). შედის რა ფედერალურ გაერთიანებაში სახელმწიფო უარს ამბობს მრავალ თავისუფლებაზე და უპირატესად თავის სუვერენულ უფლებაზე, მაგრამ ამის ნაცვლად იღებს უფლებას იყოს საერთო სუვერენიტეტის წარმოქმნის ორგანული ნაწილი. ფედერალური სახელმწიფოს ნება არის ცენტრალური ხელისუფლებისა და ფედერაციის სუბიექტების ნების სინთეზი. ამრიგად ფედერალური გაერთიანების საერთო სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას აქვს ორმაგი წყარო, თავის გაერთიანებაში აღებული ფედერალური სახელმწიფოს

მთელი მოსახლეობის ნება და განცალკევებაში აღებული დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულების, ფედერაციის სუბიექტების ნება.

უერის თვალსაზრისით ამ თეორიის დუალისტური ხასიათი მდგომარეობს ფედერალურ სახელმწიფოში ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ხელისუფლების არსებობაში. ერთი მხრივ ცენტრალური ხელისუფლება და მეორე მხრივ ფედერაციის წევრთა ხელისუფლება იმყოფებიან ერთმანეთთან კავშირში მხოლოდ კორდინაციის საწყისებზე. ისინი კი არ ექვემდებარებიან, არამედ აწონასწორებენ ერთმანეთს. ფედერალურად უნდა მივიჩნიოთ ის სახელმწიფოები რომლის დანაწილებული ხელისუფლებანიც ეფუძნება კორდინაციისა და დამოუკიდებლობის საწყისს, - ამბობს უერი. ფედერალიზმის დუალისტურმა თეორიამ საერთო აღიარება მოიპოვა, ვინაიდან მან დაასაბუთა ფედერალური ხელისუფლების სუვერენული ნების წარმოშობის ორიგინალური გზა რომელიც განსხვავდებოდა უნიტარული და კონფედერალური მოდელეგისგან.

ზოგადად ფედერალური სახელმწიფოს განმარტების ცდამ მრავალი თავსატეხი გაუჩინა იურისტებს. მას სხვადასხვაგვარად განმარტავდენ.

- ფედერაცია როგორც რამდენიმე სახელმწიფოს ორგანული კავშირი.
- სახელმწიფო რომელიც საერთოა რამდენიმე სახელმწიფოსთვის.
- რთული სახელმწიფო, შემდგარი არასუვერენული სახელმწიფოებისაგან.
- რამდენიმე სახელმწიფოს კავშირი დაქვემდებარებული საერთო სახელმწიფოებრივ ხელისუფლებასთან.
- სამოკავშირეო სახელმწიფო, სადაც სახელმწიფო ხელისუფლება, ეკუთვნის მის წევრ-სახელმწიფოთა მთელ ერთობლიობას.

საერთო ჯამში ფედერალიზმი ეს არის ხელშეკრულებითი უარი ცენტრალიზმზე, სხვადასხვა ცენტრებს შორის, სტრუქტურულად გაფორმებული უფლებამოსილებათა დისპერსია, რომელთა კანონიერი უფლებამოსილებებიც გარანტირებულია კონსტიტუციით.

ზოგიერთი მიმდინარეობა კი საერთოდ უარს ამბობს, ფედერალიზმის განმარტების ცდაზე. მაგალითად, ლ. გუმპლოვიჩი პრინციპულად უარყოფდა ფედერალური სახელმწიფოს ცნებას. მისი აზრით ფუჭია გარჯა მიმართული სახელმწიფოებრივი გაერთიანების სახეების დადგენისაკენ. ისინი ინდივიდუალური წარმონაქმნებია და ყველა შემთხვევაში ისტორიული პროცესის სპეციალური პროდუქტს წარმოადგენსო. ამიტომ საერთოდ არ შეიძლება ფედერალური სახელმწიფოს, როგორც იურიდიული ცნების კონსტრუირება ვინაიდან იგი წარმოადგენს მხოლოდ წმინდა პოლიტიკურ ინდივიდუალურობას. შემდგომში ამ მიმდინარეობამ სხვა მხარდამჭერებიც შეიძინა და მიიღო **ფედერალიზმის ნიჰილისტურ თეორიათა სახელი**. ისინი ფედერალიზმს ართმევენ იურიდიულ კრიტერიუმს და მის არსებობას შესაძლებლად მიიჩნევენ, მხოლოდ პოლიტიკურ-ისტორიული ფენომენის სახით. დ. სიდიანსკი მიიჩნევდა, შეუძლებელია მივცეთ იურიდიული დეფინიცია ფედერალურ სახელმწიფოს. ფედერაციის არსის გაგება შესაძლებელია მხოლოდ ფილოსოფიურ ასპექტში, თუ მას განვიხილავთ როგორც თავად იდეის თანმიმდევრულ განვითარებას დაწყებული მისი სათავეებიდან დამთავრებული მის საზღვრებამდე.

ფედერალიზმზე მსჯელობისას ჩამოყალიბებულია შემდეგი მეთოდოლოგიური მიდგომა - მას განვიხილავენ უნიტარულ სახელმწიფოსთან დაპირისპირებაში. მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, უნიტარულ სახელმწიფოსთვის დამახასიათებელია ერთიანი კონსტიტუცია რომლის ნორმები გამოიყენება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ყოველგვარი ამოღებისა და შეზღუდვის გარეშე. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ერთიანი სისტემა, ერთი სახელმწიფოს მეთაური, ერთი მთავრობა, ერთი პარლამენტი, რომლის იურისდიქციაც ვრცელდება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების და მისდამი დაქვემდებარებული ადმინისტრაციის ფუნქციონალური, საგნობრივი და ტერიტორიული კომპეტენცია არც იურიდიულად, არც ფაქტობრივად არ არის შეზღუდული, რაიმე რეგიონალური ორგანოების უფლებამოსილებებით.

უნიტარულ სახელმწიფოს ტერიტორია იყოფა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად, რომლებსაც არ შეუძლიათ ფლობდნენ რაიმე პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. ამ ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ერთეულებში შექმნილი მართვის ადგილობრივი, ორგანოები ამა თუ იმ ხარისხით, ექვემდებარებიან სახელმწიფო ხელისუფლების, ცენტრალურ ორგანოებს და ცენტრალურ ადმინისტრაციას. მათი სამართლებრივი სტატუსი, განისაზღვრება ერთიანი სახელმწიფო სამართლებრივი სისტემაში შემავალი სახელმწიფოებრივი ნორმებით.

ამრიგად, უნიტარიზმი მოიცავს მთელი სახელმწიფო აპარატის ცენტრალიზაციას, პირდაპირ და ირიბ კონტროლს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში შექმნილ მუნიციპალურ ორგანოებზე.

ავტორტა ამგვარ შეფასებას ბოლომდე ვერ გავიზიარებთ. აქ უნიტარიზმი და ცენტრალიზმი გაიგივებულია ერთმანეთთან. თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოთა მნიშვნელოვანი ნაწილი უნიტარულია, მაგრამ თუ უნიტარიზმში ვიგულისხმეთ ცენტრალური ხელისუფლებისადმი ყველაფრის მკაცრი დაქვემდებარება და მორჩილება, უარყავით მუნიციპალურ ორგანოთა, გარკვეული ფუნქციები, გამოვრიცხეთ სახელმწიფოში, ხელისუფლების სწორი დეცენტრალიზაციის შესაძლებლობა, მაშინ საქმე გვექნება ცენტრალიზებულ არადემოკრატიულ სახელმწიფოსთან.

ზემოთ აღწერილი უნიტარული სახელმწიფოს ავტორები უნიტარულ სახელმწიფოში ცენტრალური სახელმწიფოსგან არა თუ ფართო დეცენტრალიზაციის, არამედ თვითმმართველობის სივრცესაც არ ტოვებენ. უნიტარულ სახელმწიფოში ხშირად ავტონომიური ერთეულები ფლობენ თავის განსაკუთრებულ კომპეტენციას, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციიდან ამოღებულია. ასევე ცენტრალური ხელისუფლების უსაზღვრო ბატონობას ბოჭავს ქვეყანაში ადგილობრივი მმართველობის სისტემა, რომელიც გულისხმობს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მცხოვრები მოსახლეობის თვითორგანიზაციას და კანონის საფუძველზე, სახელმწიფოს მიერ დელეგირებული ადგილობრივ საქმეთა გამგებლობის სფეროში,

მათ მიერ არჩეული ორგანოებისა და თანამდებობის პირთა დამოუკიდებელი საქმიანობის შესაძლებლობას.

ადგილობრივი თვითმმართველობის ავტონომია არ ეწინააღმდეგება სახელმწიფოს უნიტარულ ტიპს. მკლევართა დიდი ნაწილი ფედერალიზმსა და უნიტარიზმს შორის მიჯნას ეძებს კომპეტენციის მოცემულობაში. თუ ტერიტორიული ერთეულები ფლობენ ფართო კომპეტენციას, გააჩნიათ გარკვეული პოლიტიკური უფლებები, მათი აზრით სახეგვა ფედერალური სახელმწიფო, ხოლო თუ კომპეტენციის მნიშვნელოვანი ნაწილი ცენტრალური ხელისუფლების ხელშია, ასეთი სახელმწიფო უნიტარულია. ფედერალიზმის არსის ცენტრალიზმის დაძლევათ ახსნა დამახასიათებელი იყო საფრანგეთისათვის. მართალია ფედერალიზმს აქ პრაქტიკული გამოყენება არ ქონია და იგი ყოველთვის წმინდა აკადემიური შესწავლის საგნად რჩებოდა, მაგრამ ფედერალური იდეის მასაზრდოებლად გვევლინებოდა ადგილობრივი თვითმმართველობის გაფართოებისა და განსაკუთრებულ ცენტრალიზაციასთან ბრძოლის ნიადაგი. დღეისათვის სფრანგეთშიც კი რომელიც ტრადიციულად ცენტრალიზებულ სახელმწიფოს ტიპს წარმოადგენდა სახეგვა ხელისუფლების, კომპეტენციის ფართო დეცენტრალიზაცია.

აღსანიშნავია რომ უნიტარული დემოკრატიული სახელმწიფოები დეცენტრალიზაციის სფეროში შორს წავიდნენ, ამჟამად ფედერაციის სუბიექტებისა და რიგი უნიტარულ სახელმწიფოთა დეცენტრალიზებული მხარეების კომპეტენცია გაუთანაბრდა ერთმანეთს, რაც წინააღმდეგობაში ავდებს აღნიშნული თეორიის მიმდევართ. როდესაც ვერ ხერხდება ფედერაციის სუბიექტებისა და დეცენტრალიზებულ მხარეთა შორის კომპეტენციის მოცულობის თვალსაზრისით განსხვავებების დადგენა, ხშირად ერთი და იგივე სახელმწიფოს, ახასიათებენ როგორც უნიტარულს ფედერალური ნიშნებით, ან პირიქით ფედერალურს უნიტარული მოდიფიკაციებით რაც არასწორია.

რა უნდა გახდეს, უნიტარიზმსა და ფედერალიზმის გამიჯვნის კრიტერიუმი, და სად უნდა მოიძებნოს მათ შორის სადემარკაციო ხაზი?

ცენტრალიზმის ანტონიმი არის დეცენტრალიზაცია, ავტონომიურობის საკითხი. ფედერალიზმი კი უპირისპირდება არა ცენტრალიზმს, არამედ მთლიანად უნიტარიზმს, როგორც სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის ფორმას. იგი ეხება მხარეების სამართლებრივ სტატუსს. ფედერალიზმისთვის მნიშვნელოვანია უმაღლესი ხელისუფლების ორგანიზაციის ხერხი, ანუ თუ როგორ არის ორგანიზებული ნაწილების შეერთება პოლიტიკურ მთლიანობაში. საკითხები კი იმაზე, თუ რომელი უფლებები მიეკუთვნება ცენტრალურ ხელისუფლებას და რომელი ადგილობრივ ხელისუფლებას, ფედერალიზმის არსს პირდაპირი მნიშვნელობით არ ეხება ესაა ავტონომიურობის საკითხი.

საკითხის უკეთ წარმოჩენისათვის მოვიყვანოთ რამოდენიმე ქვეყნის მაგალითი.

იტალიის კონსტიტუცია სადაც, ცენტრალური ხელისუფლებისა და რეგიონალური ოლქების ურთიერთობა აგებულია ხელისუფლების დეცენტრალიზაციის პრინციპზე მიეკუთვნება უნიტარულ ტიპს, მაშინ როცა იტალიის ოლქების კომპეტენციის მოცულობა არ ჩამოვარდება ბევრი ფედერაციის სუბიექტის კომპეტენციას.

მექსიკაში რომლის პოლიტიკური ორგანიზაციაც ფედერალიზმის მკაფიო კონცეფციაზეა აგებული შტატების შემადგენლობაში შემავალი იურიდიული პირების უფლებამოსილება მნიშვნელოვნად ჩამოუარდება იტალიის პროვინციების კომპეტენციას, კერძოდ მათ არა აქვთ საკანონმდებლო ნორმების გამოცემის უფლება და მხოლოდ შტატების თანხმობით შეუძლიათ თავის დაქვემდებარებაში იყოლიონ რიგი სამსახურები.

როგორც ვხედავთ იტალიის ადგილობრივი ავტონომიური ერთეულები კომპეტენციის მოცულობით აღემატებიან მექსიკის ფედერალურ სახელმწიფოს ადგილობრივ ავტონომიურ ორგანოებს. კომპეტენციათა მნიშვნელოვანი ცენტრალიზაციით ხასიათდება გერმანიაც, რომელიც სახელმწიფოთა კომპეტენციის მოცულობის მიხედვით კლასიფიკაციის მიმდევრებმა კარგა ხანია მიაკუთვნეს უნიტარულ ტიპს.

ამ ფაქტიდან დასკვნა ნათელია კომპეტენციის მოცულობის საკითხი არ წარმოადგენს, უნიტარიზმისა და ფედერალიზმის სადემარკაციო ნიშანს და მათი გამიჯვნის კრიტერიუმი უნდა ვეძიოთ სხვა ნიშნებში.

მეცნიერთა ნაწილი საერთოდ გვთავაზობს უარი ვთქვათ სახელმწიფოთა ტრადიციულ ფედერალურ და უნიტარულ დაყოფაზე. კლასიფიკაციის ძირითად კრიტერიუმად იყენებენ რა სახელმწიფოში ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული მართვის მეთოდებს. უნდა აღინიშნოს რომ სახელმწიფოთა ამ ხერხით კლასიფიკაციამ ფართოდ მოიკიდა ფეხი მხოლოდ ერთი მნიშვნელოვანი უზუსტობით - დეცენტრალიზებული მმართვეის მქონე სახელმწიფოებს აღნიშნავენ ფედერალური სახელმწიფოს სახელით, ხოლო ცენტრალიზებული მმართვეის მქონე ქვეყნებს - უნიტარულის. რასაკვირველია სახელმწიფოთა ფედერალური და უნიტარული კლასიფიკაციის გვერდით შესაძლებელია ჩატარდეს სახელმწიფოთა მართვის ცენტრალიზებულობის ხარისხის მიხედვითაც. ამ შემთხვევაში დეცენტრალიზებულ სახელმწიფოთა რაოდენობა მნიშვნელოვნად მეტი აღმოჩნდებოდა ფედერალურთან შედარებით, შესაბამისად დაცარიელდებოდა უნიტარულ სახელმწიფოთა რიგიც. ამგვარი კლასიფიკაცია გაცილებით მარტივია და ნაკლებ დავასაც წარმოშობს, მაგრამ იგი ფედერალიზმისა და უნიტარიზმის ტრადიციული კლასიფიკაციის შემცვლელად ვერ გამოდგება, ვინაიდან ეს უკანასკნელი გაცილებით კომპლექსურია, მისთვის მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს ძირითადი ინსტიტუტების სტრუქტურასა და ბუნებას, ადგილობრივი ხელისუფლების სამართლებრივ მდგომარეობას, ხელისუფლებათა შორის ურთიერთ დამოკიდებულების ხასიათს და ა.შ

ფედერალიზმის მარცვლები გაბნეულია სახელმწიფოს ყველა შრეში და კლასიფიკაციისთვის მათ მოძიება და შეფასება ესაჭიროებათ. შემოთავაზებული კლასიფიკაცია კი გვერდს უვლის და შეუფასებლად ტოვებს მთელ რიგ იურიდიულ ინსტიტუტებს და კლასიფიკაციას ატარებს მხოლოდ კომპეტენციის მოცულობის მიხედვით, რაც იმას გამოხატავს რომ იგი არ არის უნიტარიზმისა და ფედერალიზმის კლასიფიკაციის შემცვლელი, არამედ მასთან შედარებით მარტივი, რომელიც

შეუსწავლელად ტოვებს სახელმწიფოს ფორმის მრავალ ნიშანს, რომელთა ახსნაც ფედერალიზმის მახასიათებლებთან შედარების გარეშე შეუძლებელი გახდებოდა,

ფედერალიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო მკვლევარის ა. იაშჩენკოს განმარტებით „ცალკეული შტატების კომპეტენცია შეიძლება, იყოს შეუზღუდავად ფართო, მაგრამ თუ საერთო ფედერალური სუვერენული ხელისუფლება, (ე.ი ის რომელსაც შეუძლია შეამციროს, ან გაანადგუროს შტატის ეს კომპეტენცია) ხორციელდება მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების მიერ, რომლის წარმოქმნაზეც შტატები ზეგავლენას თუ ახდენენ მხოლოდ როგორც ერთიანი კავშირის წარმომადგენლები და არა როგორც განსაკუთრებული პოლიტიკური ორგანიზაციები, მაშინ არავითარი ფედერალური საწყისი ასეთ სახელმწიფოებრივ მონაცობაში არ არის, ეს წარმოქმნის მხოლოდ ძლიერად დეცენტრალიზებულ სახელმწიფოს. ფედერალიზმისთვის საჭიროა ვიცოდეთ არა ის, თუ როგორი კომპეტენცია აქვს ცალკეულ შტატებს, არამედ ის ხელისუფლების როგორი მოცულობა ეკუთვნის იმ ფედერალურ ორგანოს რომელშიც შტატები წარმოდგენილი არიან მათ თავისთავადობაში.

ფედერალიზმისთვის მნიშვნელოვანია სახელმწიფო უმაღლესი ხელისუფლების აგების ხერხი, თუ როგორ არის ორგანიზებული ნაწილების შეერთება პოლიტიკურ მთლიანობაში. ფედერალიზმი ცენტრალური ხელისუფლების ორგანიზაციას ახდენს იმგვარად, როგორც სახელმწიფოს „თავის ნების“ გამომუშავებისთვის ესაჭიროება. გერმანიის სახელმწიფო სამართლის შვიდტომეული ფედერაციას შემდეგნაირად განმარტავს: „ფედერაცია ესაა მიწების გაერთიანება“.

ამგვარი განმარტება კი ერთი შეხედვით მიესადაგება ფედერალური სახელმწიფოს ტერიტორიის ცნების ახსნას. ფედერაციის სუბიექტების ნაწილების გამოკლებით, ფედერაციის ტერიტორიის არც ერთი ნაწილი აღარ რჩება. რაც შეეხება ფედერალური სახელმწიფოს ხელისუფლების წყაროს, იგი არ არის მხოლოდ სუბიექტების ნების უბრალო გაერთიანება, რომელთა გამოკლებითაც ფედერაციის, ხელისუფლების წყარო აღარ რჩება. თუ ფედერაციას არ ექნებოდა მიწების ნების გარდა სხვა

დამოუკიდებელი, წყარო და მისი არსებობა, დამოკიდებული იქნებოდა სუბიექტების ნებაზე, მაშინ ეს იქნებოდა კონფედერაციის კლასიკური მოდელი.

ფედერალურ სახელმწიფოში სუვერენიტეტის წყარო ორმაგია, ფედერაციის სუბიექტების ნებას მიმატებული მთელი სახელმწიფოს ხალხის (მოქალაქეების) ნება. ამ ორი ნების შეერთებით მიიღება მესამე - თვისობრივად ახალი, ერთიანი ფედერალური სუვერენული სახელმწიფოს ნება. **ფედერაცია არ არის ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს, უბრალო მექანიკური კრებადობა, ესაა მათი იმგვარი ხერხით გაერთიანება, რომლის შედეგადაც, მიიღება – ერთი თვისობრივად ახალი საერთო სახელმწიფო.** ფედერალური სახელმწიფოების ჩამოყალიბება მიმდინარეობდა ისეთ პოლიტიკურ ვითარებაში როდესაც საზოგადოებას ერთდროულად ჰქონდა, ორი განსხვავებული ნება, გარკვეული ხარისხით შეუთავსებელიც კი. სურვილი ეროვნული მთლიანობის მიღწევისა და ადგილობრივი თავისუფლების შენარჩუნებისა, ვინაიდან პოლიტიკურ ძალებს არ სურდათ არცერთი ინტერესის საზიანო გადანაცვეტილების მიღება, ფედერალური კონსტიტუცია იძულებული იყო იურიდიულად გაეფორმებინა და დაეკანონებინა სახელმწიფოში ორივე ინტერესის თანაბარი არსებობა და ფედერალური სახელმწიფო აეგო ამ ორი ინტერესის წონასწორობაზე. ეს იყო საზოგადოებაში არსებული პოლიტიკური ვნებების დაკმაყოფილების ერთადერთი ყველასთვის მისაღები გზა.

ფედერალურ სახელმწიფოში ცენტრალურ სუვერენულ ხელისუფლებას აქვს ორმაგი წყარო. პირველი ერთ მთლიანობაში აღებული სახელმწიფოს ყველა მოქალაქის ნება (უნიტარული საწყისი) და მეორე განცალკევებაში აღებული ფედერაციის სუბიექტების, როგორც ცენტრალური ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაციის მქონე სხეულების ნება (კონფედერალური საწყისი). ამ ორი ნების წონასწორობაზე დგას ფედერალური სახელმწიფო. მისი ხელისუფლების წყაროს ნახევარი არის ფედერაციის სუბიექტის ნება შეერთებული სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის ნებასთან. თუ ეს წონასწორობა დაირღვა მოიშალა უნიტარული საწყისი, მაშინ სახელმწიფოს ემუქრება

დემინტეგრაცია, ფედერალური საწყისის მოშლით კი, სახელმწიფო ხდება აბსოლიტრად მთლიანი.

ფედერალურ სახელმწიფოში უნიტარულისგან განსხვავებით ხელისუფლება უნდა ეკუთვნოდეს რეგიონებს (შტატებს) – ფედერაციის სუბიექტებს. ამიტომ უმაღლესი ორგანო ასეთ სახელმწიფოებში უნდა იყოს რეგიონების წარმომადგენლობითი კრება უმაღლესი სახელმწიფო ორგანოს სახით ამ პარლამენტს უნდა ქონდეს პრეზიდენტის პოსტიდან მოხსნის უფლება, პრეზიდენტს არ უნდა ქონდეს უფლება დაითხოვოს ფედერაციის სუბიექტთა უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო ე.ი ფედერალური პარლამენტი. როგორც უმაღლესი ორგანო სახელმწიფოში მას შეუძლია ხმა მისცეს საკუთარ დათხოვნას, მაგრამ პრეზიდენტს არ აქვს უფლება დათხოვოს იგი. მივცეთ პრეზიდენტს ასეთი უფლება ნიშნავს ვთქვათ, რომ სახელმწიფოში არსებობს ორგანო უფრო მაღალი სახელმწიფო წარმომადგენელთა კრებასთან მიმართებაში. ეს კი არის ფედერალიზმის საფუძვლების უარყოფა.

უნიტარულ სახელმწიფოთა ცენტრალიზებული მხარეებისა და ფედერაციის სუბიექტების სტატუსების შედარებითი ანალიზი თვალსაჩინოდ გამოხატავს ხელისუფლების ამ ორი სუბიექტის თვისობრივად განსხვავებულ სამართლებრივ მდგომარეობას. კერძოდ,

➤ *ფედერაციის წევრები ფლობენ ცენტრალური ხელისუფლებისაგან „არანარმმობულ“ ხელისუფლებას, ფედერაციისათვის გადაცემული უფლებამოსილება ამომწურავადაა განსაზღვრული, ხოლო ნარჩენი კომპეტენცია ეკუთვნით ფედერაციის წევრებს. უნიტარულ სახელმწიფოში კი მხარეებს ცენტრალური ხელისუფლების მიერ ამომწურავად განსაზღვრული აქვთ დელეგირებული უფლებამოსილება.*

➤ *ფედერალურ სახელმწიფოში ფედერაციასა და ფედერაციის წევრებს შორის კონსტიტუციით გამიჯნულია უფლებამოსილება. არცერთი მხარე არ ფლობს ბალანსის შეცვლის უფლებას. უნიტარულ სახელმწიფოში დელეგირებული ხელისუფლების*

გამოყენება რეგულირდება ცენტრალური ხელისუფლების მიერ და იგი მისი შეხედულებისამებრ შეიძლება შეზღუდულ ან ჩამორთმეულ იქნას.

➤ ფედერაციის წევრები ფლობენ დამფუძნებელი ხელისუფლებას, დამოუკიდებლად იღებენ საკუთარ კონსტიტუციებსა და განსაზღვრავენ სახელმწიფო ორგანოთა სისტემას. უნიტარულ სახელმწიფოში ცენტრალური ხელისუფლება განსაზღვრავს მთელ კონსტიტუციურ სტრუქტურას, მათ შორის ავტონომიების სტატუსებს, რომელთა ცვლილებასაც ესაჭიროება ცენტრალური ხელისუფლების მიერ დამტკიცება.

➤ ფედერალურ სახელმწიფოში ხელისუფლების ორი დონის ურთიერთობას ახასიათებს თანასწორი ხასიათი. მათ შორის არანაირი დაქვემდებარება, არ არსებობს. თითოეული მათგანის გადაწყვეტილებები შეიძლება გაუქმებულ იქნას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მხოლოდ არაკონსტიტუციურობის მოტივით. უნიტარულ სახელმწიფოში ადგილობრივი, ხელისუფლების საქმიანობა, შეიძლება შეიზღუდოს, კონსტიტუციურ კანონმდებლობასთან წინააღმდეგობის გარდა სახელმწიფო უშიშროებასა და საერთო ეროვნულ ინტერესებზე მითითებით.

➤ ფედერალურ სახელმწიფოში დაუშვებელია ადგილებზე ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლის დანიშვნა, მის საქმიანობაში ყოველგვარი ჩარევის შესაძლებლობას პირდაპირ უნდა ითვალისწინებდეს კონსტიტუცია. უნიტარულ სახელმწიფოებში ცენტრალურ მთავრობას რეგიონებში ჰყავს თავისი წარმომადგენლები, რომლებიც მრავალ, შემთხვევაში ფლობენ, ადგილობრივ ხელისუფლებათა, საქმიანობაში ჩარევისა და მისი კორდინაციის უფლებას.

დასკვნა

ამრიგად, სამაგისტრო ნაშრომის შესავალში წარმოდგენილი მიზნების შესაბამისად, ასევე ცალკეულ თავებში განხილული საკითხებიდან გამომდინარე ბოლო თავში ჩვენს მიერ გაკეთდა შედარებითი ანალიზი უნიტარული და ფედერალური ტიპის მმართველობის ფორმებისა. შედარებით ანალიზს საფუძვლად დაედო არა მხოლოდ თეორიული ასპექტები, არამედ სხვადასხვა ქვეყნების მაგალითები, რამაც კიდევ უფრო საინტერესო გახდა თემის შინაარსი. ყოველივე აქედან გამომდინარე შესაძლებელი გახდა დასკვნების გაკეთება.

არც ერთ თანამედროვე ქვეყანას არ შეუძლია მართოს მხოლოდ ერთი ადგილიდან. მუნიციპალიტეტების და სოფლის ტერიტორიების საქმეები ადგილობრივი ხელისუფლების ადმინისტრაციას უნდა დაეკისროს. შესაბამისად, ყველა ქვეყანას აქვს მინიმუმ ორი დონის მმართველობა: ცენტრალური და ადგილობრივი. რიგი ქვეყნები ასევე შეიცავს მთავრობის მესამე დონეს, რომელიც პასუხისმგებელია მეტ-ნაკლებად დიდი რეგიონების ინტერესებზე.

უფლებამოსილების გადანაწილება ხელისუფლების სხვადასხვა დონეს შორის არის სახელმწიფოს კონსტიტუციური ორგანიზაციის მნიშვნელოვანი ასპექტი. სახელმწიფოებს, რომლებსაც აქვთ ორი დონის მმართველობა, განსხვავებები შეიძლება გაკეთდეს ადგილობრივი დონეზე მინიჭებული უფრო დიდი ან ნაკლები ავტონომიის საფუძველზე. ბრიტანეთის მთავრობის ადგილობრივი თვითმმართველობისადმი პატივისცემა ყოველთვის მისი კონსტიტუციის მახასიათებელი იყო. ამის საპირისპიროდ, საფრანგეთი ტრადიციულად ატარებდა ადგილობრივ ხელისუფლებას მკაცრი ცენტრალური კონტროლის ქვეშ.

ხელისუფლების სამი დონის ქვეყნებში, უფლებამოსილების განაწილება ცენტრალურ და შუალედურ მთავრობას შორის განსხვავდება. ყოფილი დამოუკიდებელი სახელმწიფოების კავშირის შედეგად ჩამოყალიბებული

სახელმწიფოები ჩვეულებრივ ინარჩუნებენ შუალედურ დონეს მნიშვნელოვან საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო უფლებამოსილებებთან (როგორც შეერთებულ შტატებში, არგენტინასა და შვეიცარიაში), თუმცა ზოგიერთს ამ დონეზე რამდენიმე უფლებამოსილებას ანიჭებს. ეს უკანასკნელი სიტუაცია ხშირად გვხვდება იმ ქვეყნებში, რომლებმაც შუალედური დონის შემოღება შესთავაზეს ორი დონის წინა არჩევანის შესასრულებლად - როგორც ამას აკეთებდა იტალია 1948 წლის კონსტიტუციით და ესპანეთი 1778 წლის კონსტიტუციით, აღნიშნული გარემოება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ახდენს კონსტიტუცია ძალაუფლების ორგანიზებას ცენტრალურ და ქვენაციონალურ მთავრობებს შორის, შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანა ფლობს ან უნიტარულ, ან ფედერალურ სისტემას.

უნიტარულ სისტემაში მთავრობის ერთადერთი დონე, გარდა ცენტრალურისა არის ადგილობრივი ან მუნიციპალური მთავრობა. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ მმართველობებს შეიძლება ჰქონდეთ მნიშვნელოვანი ავტონომია, მათ უფლებამოსილებებს არ აქვთ მინიჭებული კონსტიტუციური სტატუსი. ცენტრალური ხელისუფლება განსაზღვრავს, თუ რომელი გადანყვეტილებები უნდა გადაეცეს ადგილობრივ დონეზე და შეიძლება გააუქმოს კიდევ ადგილობრივი მმართველობა. ფედერალურ სისტემებში არსებობს ხელისუფლების შუალედური დონე შუალედურ და ადგილობრივებს შორის. ეს ჩვეულებრივ შედგება სახელმწიფოებისა თუ პროვინციებისგან, თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში შეიძლება არსებობდეს სხვა ორგანოები (მაგალითად, კანტონი ან რესპუბლიკა).

გარდა აღნიშნულისა სხვა მნიშვნელოვანი განსხვავება უნიტარული სისტემასა და ფედერალურობას შორის არის ის, რომ ფედერალურ სახელმწიფოს სახელმწიფოებს ან პროვინციებს კონსტიტუციურად იცავს სუვერენიტეტი. ფედერალური სისტემის ფარგლებში, სახელმწიფო ან პროვინციის მთავრობები იზიარებენ სუვერენიტეტს ცენტრალურ ხელისუფლებასთან და აქვთ საბოლოო იურისდიქცია პოლიტიკის ფართო სპექტრზე.

ფედერალური და უნიტარული სისტემები იდეალური ტიპებია, ქვეყნების უმეტესობა სადღაც ორ უკიდურეს ნაწილს ფლობს - შტატები შეიძლება მეტ-ნაკლებად უნიტარული ან მეტ-ნაკლებად ფედერალური იყოს. ე.წ. "ნახევარფედერაციული" ქვეყნები საშუალო კატეგორიას იკავებენ და ფლობენ ხელისუფლების შუალედურ დონეს, რომელსაც არა აქვს იგივე დაცვა სუვერენიტეტისა, რომელსაც ფედერალური მონყობის სახელმწიფოები ან პროვინციები ეუფლებათ.

მე -20 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული, მრავალ ქვეყანაში მზარდი ტენდენცია იყო დაშვებულიყო უშუალო მოქმედება საერთაშორისო სამართლის კონსტიტუციურ სისტემებში და სპეციალური საერთაშორისო ორგანიზაციების კანონებში, რომელთა რიცხვს მიეკუთვნებოდა მაგალითად, გერმანიისა და იტალიის კონსტიტუციები, რომლებიც მოითხოვს, რომ იურიდიული სისტემა შეესაბამებოდეს საერთაშორისო ჩვეულებრივ სამართალს. იმის გამო, რომ ორივე კონსტიტუცია არის ხისტი, ეს ნიშნავს, რომ ჩვეულებრივი ეროვნული წესდება, რომელიც ეწინააღმდეგება ასეთ კანონს, არაკონსტიტუციურია.

ფედერალური მოდელის სახელმწიფოს ახასიათებს წერილობითი, მკაცრი კონსტიტუციის არსებობა ეროვნულ დონეზე, რომელიც უზრუნველყოფს რამდენიმე შუალედურ მთავრობას. ასევე მუდმივობასა და დამოუკიდებლობას, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო უფლებამოსილებების სრულფასოვნებას. ეროვნული კონსტიტუცია ითვალისწინებს ცენტრალურ ხელისუფლებას მინიჭებულ უფლებამოსილებებს. დანარჩენი უფლებამოსილებები ეკისრება შუალედურ მთავრობას სახელმწიფო ან პროვინციულ დონეზე. ქვენაციონალური ერთეულები ზოგადად წარმოდგენილია ეროვნულ დონეზე. მაგალითა, ეს შესაძლოა თანაბარი პირობით განხორციელდეს ეროვნული საკანონმდებლო ორგანოს მეორე პალატაში (რომელსაც ხშირად უწოდებენ ზედა პალატას, ან სენატს). მათ ასევე ხშირად უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ეროვნული კონსტიტუციის შეცვლის პროცესში. მაგალითად, ზოგიერთ სახელმწიფოში პროვინციული საკანონმდებლო ორგანოსთან უნდა უნდა იყოს შეთანხმებული ფედერალურ საკანონმდებლო ორგანოში მიღებული

ცვლილებების რატიფიცირებოს საკითხი. ფედერალურ სისტემებში სახელმწიფოებსა თუ პროვინციებს ასევე აქვთ საკუთარი კონსტიტუციები, რომლებიც განსაზღვრავს მათი შესაბამისი მმართველობების ინსტიტუტებს, აგრეთვე უფლებამოსილებებს, რომლებიც შემდგომ გადაეცემა ადგილობრივ მმართველობებს. ასეთი საკონსტიტუციო შეთანხმებები არის გარანტია ცენტრალური ხელისუფლების შესაძლო ძალისხმევის შესახებ, გაათავოთოვოს მისი იურისდიქცია და, შესაბამისად, მნიშვნელოვანი პოლიტიკური როლი შეასრულოს, რასაც შუამავალი მთავრობები ასრულებენ ფედერალურ სისტემაში. ამ როლის შესანარჩუნებლად საჭიროა მეტი ვიდრე ოფიციალური კონსტიტუციური გარანტიები.

გარდა საკონსტიტუციო ცვლილებებისა, ცენტრალურმა მთავრობამ შეიძლება შეეცადოს საკუთარი უფლებამოსილების გაათავოთოვება კონსტიტუციური დებულებების გამოყენებით, რომელიც გულისხმობს უფლებამოსილებას. ზოგიერთ ფედერალურ შტატში (მაგ., არგენტინა და ინდოეთი), არსებობს საგანგებო დებულებები, რომლითაც ცენტრალურ მთავრობას შეუძლია შეაჩეროს ცალკეული შტატის ან პროვინციის მთავრობების უფლებამოსილებები. ბოროტად გამოყენების შემთხვევაში, ამ დებულებებმა, რომლებიც გამოყენებულ იქნა მხოლოდ აჯანყების ან საკონსტიტუციო წესრიგის წინააღმდეგ მიმართული სხვაგვარი სერიოზული დარღვევის შემთხვევაში, შეიძლება სერიოზულად დააზარალონ საერთო სუვერენიტეტის კონსტიტუციურად დაცული პრინციპი, რაც ფედერალიზმის ნიშანია.

დამკვიდრებულ ფედერალურ დემოკრატიებშიც კი (მაგალითად, კანადა, გერმანია და შვედეთი), ხელისუფლების დონეებს შორის უფლებამოსილების ზუსტი განაწილება წარმოადგენს ცენტრალურ და სუბნაციონალურ მთავრობას შორის მუდმივი დავის საკითხს. ფედერალური სახელმწიფოების საკითხებზე დავები ხშირად ხდება განჩინებების განსახილველად სასამართლოებში ან საკონსტიტუციო ტრიბუნალებში, ან კონფერენციებზე, რომლებიც მოიცავს ცენტრალური და სუბნაციონალური მთავრობების ხელმძღვანელებს.

როგორც წესი, ნახევარფედერაციულ სახელმწიფოებს ეყრდნობა მკაცრი წერილობითი კონსტიტუციები, რომლებიც მინიჭებულნი არიან შეზღუდულ საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ (თუმცა იშვიათად სასამართლო) უფლებამოსილებებს შუალედური ან რეგიონალური მთავრობებისთვის. იმის გამო, რომ ნახევარმთვარის ქვეყნებში რეგიონალური მთავრობები იურისდიქციას ფლობენ მხოლოდ ჩამოთვლილ საკითხებზე. იმ შემთხვევაში, თუ კონსტიტუციით რეგიონალურ მთავრობაზეც მინიჭებული უფლებამოსილებები განსაკუთრებით მინიმალურია, ამ შემთხვევაში ნახევარფედერაციული სახელმწიფო მრავალი თვალსაზრისით ჰგავს უნიტარულ სახელმწიფოს. იქ, სადაც უფლებამოსილებები შედარებით დიდია, ხოლო ცენტრალური მთავრობა ხელს უწყობს მათ გაფართოებას - ალბათ იმიტომ, რომ ცენტრალური მთავრობა თავისთავად არის ეროვნული და რეგიონალური პარტიების კოალიცია - სახელმწიფო ტენდენციას იძენს ფედერალური მახასიათებლების გათვალისწინებით, თუნდაც ფედერალური სისტემის ტიპური ნიშნები არ იყოს. ესპანეთი და ბელგია ნახევარფედერაციული სახელმწიფოების კარგი ნიმუშებია, რომლებიც პრაქტიკაში სულ უფრო ფედერალური გახდნენ.

სამაგისტრო ნაშრომში ასევე გამოიკვეთა კონკრეტული სახელმწიფოს ფედერალური ან უნიტარული კლასიფიკაციის საკითხი. აღნიშნული კლასიფიკაცია ერთი შეხედვით მარტივად ჩანს, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს უფრო რთული მოვლენა. შეერთებული შტატები და შვეიცარია აშკარად ფედერალური სახელმწიფოებია. ფედერალური სახელმწიფოს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მახასიათებელი მათ კონსტიტუციურ სისტემებში გვხვდება. ავსტრალია და გერმანია ასევე შეიძლება მივიჩნიოთ ფედერალურად ყველა თვალსაზრისით. კანადა ასევე არის ფედერალური სახელმწიფო, მიუხედავად იმისა, რომ იდეალური ფედერალიზმის ზოგიერთი ოფიციალური მახასიათებელი აქ არ არსებობს.

ლათინურ ამერიკაში რამდენიმე ფედერალური სახელმწიფოა. არგენტინა და ბრაზილია, ალბათ, ყველაზე აშკარა ფედერალია, მკაცრი კონსტიტუციებით, ზედა პალატაში რეგიონალური მთავრობების თანაბარი წარმომადგენლობით და

მნიშვნელოვანი ძალაა, რომელიც დასუღია რეგიონალურ დონეზე. ამასთან, ცენტრალურ მთავრობას აქვს შესაძლებლობა ჩაერიოს სახელმწიფო ან პროვინციის საქმეებში გარკვეულ ვითარებაში, განსაკუთრებით არგენტინის შემთხვევაში. უფრო მეტიც, არცერთი კონსტიტუცია არ ანიჭებს ადგილობრივ მთავრობას ოფიციალურ როლს ეროვნული კონსტიტუციის შეცვლის პროცესში. არგენტინაში ცვლილებების შეტანა უნდა მოხდეს ეროვნულად არჩეულ საკონსტიტუციო ასამბლეაზე. მექსიკა არის ფედერალური სახელმწიფო, მაგრამ როგორც ფორმალურად, ისე არაფორმალურად მას დიდი ხანია აქვს გადახრა ფედერალიზმის პრინციპებისაკენ. ფორმალურად, ზემო სახლი წარმოადგენს სახელმწიფოებს, მაგრამ ის უფრო სუსტია, ვიდრე ქვედა სახლი. არაფორმალურად, 1980-იან წლებამდე ერთი უაღრესად ცენტრალიზებული პარტია აკონტროლებდა ფედერალურ მთავრობას და ყველა შტატის მთავრობას, რაც ასახავდა ადგილობრივ ავტონომიურობას. მხარეთა შორის უფრო დიდი კონკურენციის პირობებში, მექსიკა უფრო და უფრო გვიან ემსგავსება ფედერალურ სახელმწიფოს.

ინდოეთის შემთხვევა გარკვეულწილად ორაზროვანია. ინდოეთის ფედერალური კონსტიტუცია ასახავს მნიშვნელოვანი საგნების გრძელ ჩამონათვალს, რომელთა საფუძველზეც სახელმწიფოები და ტერიტორიები, რომლებიც ქმნიან კავშირს, აქვთ ექსკლუზიური იურისდიქცია. მაგრამ კონსტიტუცია ცენტრალურ მთავრობას აძლევს უფლებამოსილებას, კანონმდებლობა მიიღოს ნებისმიერი საკითხის შესახებ, მათ შორის რეგიონალურ მმართველობებზე. გარდა ამისა, ცენტრალურ მთავრობას აქვს კონტროლის პირდაპირი უფლებამოსილება რეგიონალურ მმართველობებზე (მაგ., ეროვნულ პარლამენტს შეუძლია დაითხოვოს საკანონმდებლო საბჭო ნებისმიერი სახელმწიფოს ან ტერიტორიის შემადგენლობაში).

ყოფილი საბჭოთა კავშირი კონსტიტუციით იყო ფედერალური სახელმწიფო. მაგრამ, გარდა მისი კონსტიტუციის მაინც გარკვეული ნაწილის ნომინალური ხასიათისა, კომუნისტური პარტიისთვის გადაცემულ საკონსტიტუციო როლს ერთიანმა სისტემამ შეუქმნა ის დონე, რომ სახელმწიფო არსებითად იყო უნიტარული გარკვეული

ასპექტებით. ამისგან განსხვავებით პოსტსაბჭოთა რუსეთს აქვს ფედერალური კონსტიტუცია ყველა თვალსაზრისით.

როგორც იტალია, ისე ესპანეთი შეიძლება ჩაითვალოს ნახევარფედერაციული სახელმწიფოებად, თუმცა იტალია ბევრად უფრო ახლოს არის უნიტარულ მოდელთან. ამ ქვეყნებში რეგიონებს აქვთ გარკვეული სფეროებში საკანონმდებლო და ადმინისტრაციული უფლებამოსილება, მაგრამ ყველა სასამართლო არის ეროვნული. იტალია, ალბათ, ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება მჭიდროდ დაემსგავსოს ქვეყანა ერთეულ სისტემას რეგიონალური მთავრობების არსებობის მიუხედავად. რეგიონებისთვის კონსტიტუციით მინიჭებული შეზღუდული უფლებამოსილებები ეროვნულმა საკანონმდებლო ორგანომ გააგრძელა რეგიონალური საკანონმდებლო ორგანოების დამატებითი საკითხების გადაცემის გზით. ამასთან, რეგიონალური კანონები პატივს სცემენ ეროვნული წესდებებით გათვალისწინებულ ზოგად პრინციპებს და პრაქტიკაში მცირე ადგილი რჩება ჭეშმარიტად ავტონომიურ რეგიონალურ კანონმდებლობაში. უფრო მეტიც, რეგიონები ფინანსურად დამოუკიდებელი არ არის. ამრიგად, მთლიანობაში ისინი შეიძლება მივიჩნიოთ ადგილობრივი მმართველობების სისტემის თითქმის ფილიალად, კომუნებთან და პროვინციებთან შედარებით, ვიდრე ხელისუფლების აშკარა მესამე დონე.

გაერთიანებული სამეფოს ხშირად მოიხსენიებენ, როგორც უნიტარული სახელმწიფოს მაგალითს, მიუხედავად რეგიონალური მთავრობებისა. ჩრდილოეთ ირლანდია მონაცვლეობს სპეციალური ავტონომიისა და ბრიტანეთის მთავრობის მიერ განსაკუთრებული მმართველობის პერიოდებს შორის; 1990-იან წლებში რეგიონის ავტონომიური მთავრობა ხელახლა დაარსდა, თუმცა ბრიტანეთის მთავრობამ ზოგჯერ აჩერებს ავტონომიას. ასევე 1990-იან წლებში შეიქმნა შოტლანდიის პარლამენტი და უელსის ასამბლეა (პირველ, მაგრამ არა ამ უკანასკნელს, მიეცა ფართო უფლებამოსილება, მათ შორის დაბეგვრასთან დაკავშირებული საკითხები) და მთავრობამ განიხილა დისკუსია კავშირების შემოღების შესახებ ინგლისის ზოგიერთ

რეგიონში. ეროვნულ დონეზე მკაცრი კონსტიტუციის არარსებობის პირობებში, რეგიონალური პარლამენტების უფლებამოსილება არასათანადოდ იყო განსაზღვრული. სინამდვილეში, ვესტმინსტერში ცენტრალური პარლამენტის მოქმედებამ თეორიულად შეიძლება ჩამოართვას უფლებამოსილებები რეგიონალური მთავრობებისგან ან ფაქტობრივად გააუქმოს ისინი. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთი არის უნიტარული სახელმწიფო, 1982 წელს მან დაარსა არჩევითი რეგიონალური მთავრობა, რომელიც ნაკლებად არის დამოკიდებული ამ ცენტრით.

ამრიგად, მსოფლიო პრაქტიკა მეტად საინტერესო სურათს იძლევა უნიტარიზმისა და ფედერალიზმის ჭრილში არსებული მმართველობების კუთხით. თვითეული სახელმწიფო ინდივიდუალურია მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით განსხვავებული მმართველობის ფორმა არა აქვს. აქედან გამომდინარე თვით ფედერალიზმისა და უნიტარიზმის არსი განხილული უნდა იქნეს კომპლექსურად - საყოველთაოდ აღიარებულ წესებთან ერთად აუცილებელია თვითეული სახელმწიფოს ისტორიული ტრადიციები, ტერიტორიული განლაგება და საზოგადოების განვითარების დონე.

ბიბლიოგრაფია

1. ათი ფედერალისტური წერილი ქართულად, პოლიტიკური განათლების პროექტში გამოწვევა დიალოგში, თბილისი 2005.

2. გოგიაშვილი გ. შედარებითი ფედერალიზმი, თბილისი 2000.
3. დემოკრატია და მოქალაქეობა, საარჩევნო სისტემის საერთაშორისო ფონდის წარმომადგენლობა საქართველოში 2011.
4. დემეტრაშვილი ა. კობახიძე ი. "კონსტიტუციური სამართალი". საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“ თბ. 2010 წ.
5. კვერენჩილაძე გ. მელქაძე ო. „საფრანგეთის სახელმწიფო სისტემა“ გამომცემლობა „უფლება“ თბ.1997 წ.
6. კამლაძე დ. საქართველოს სასურველი არჩევანი: უნიტარული სახელმწიფო თუ ფედერაცია.
7. მაცაბერიძე მ. „საქართველოს პოლიტიკური სისტემა“ თბ. 2019 წ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
8. მელქაძე ო. კონსტიტუციონალიზმი, თეორიის საკითხები, ბათუმი 2003.
9. საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი , მეოთხე გამოცემა.
10. საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი , მესამე გამოცემა.
11. სამოქალაქო განათლების საუნივერსიტეტო კურსი, დემოკრატია და მოქალაქეობა, საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდი , 2017.
12. საქართველოს კონსტიტუცია, www.matsne.ge
13. ფედერალისტური წერილები,. გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის გამომცემლობა , თბილისი 2008
14. ფირცხალაშვილი ა, მირიანაშვილი გ.. საქართველოს სახელმწიფო მონაცემების საფუძვლები , გამომცემლობა მწიგნობარი, თბილისი 2018.
15. ხუბუა გ. ფედერალიზმი როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი : [იურიდ. ფაკ. სტუდ. / რედ.: გიორგი ინწკირველი] - თბ., 2000.
16. Activists seek more from Americans with Disabilities Act, იხ.: <http://www.metrowestdailynews.com/archive/x1078554340/Activists-see-morefrom-Americans-with-Disabilities-Act#ixzz1RMz6XKA7>.
17. Arlene Mayerson, The History of the ADA: A Movement Perspective, 1992, იხ.: <http://law.marquette.edu/s3/site/docs/psconference/history-of-ada.pdf>.
18. Asanidze v.Georgia, ECHR 2004, № 71503/01/08,
19. <http://en.wikipedia.org/wiki/Secession>.
20. www.wikipedia.org
21. <https://www.britannica.com/topic/constitutional-law/Unitary-and-federal-systems>
22. https://en.wikipedia.org/wiki/Unitary_state
23. <https://en.wikipedia.org/wiki/Federation>
24. https://ka.wikipedia.org/wiki/შვეიცარიის_კავშირი
25. <https://en.wikipedia.org/wiki/Switzerland>